საერთო საქმე

№23 (573) • 12 აგვისტო, 2020წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

ზაზა შათირიშვილი:

რა გავლენას იქონიებს საქართველოზე ამერიკული „პერესტროიკა“

ამერიკაში დღეს ხდება ის, რაც გასული საუკუნის ბოლოს საბჭოთა კავშირში მოხდა - „პერესტროიკა“!

ლაშა გვასალია:

სამეგრელოში ნაც-ევრონაცი „ჯოყლივირები“ ვერ გაიმარჯვებენ

სამეგრელო, მოგეხსენებათ, სხვა ურთიერთობების მატარებელი სივრცეა. ამიტომ უგულავა-ბოკერიასნაირი ადამიანები ჩვენთან ფეხს ვერ მოიკიდებენ

ვინ დაიცავს თამარ ბაჩალიაშვილს უგუნური მშობლებისგან, რომლებიც, ნებსით თუ უნებლიედ, ნაცსექტის პოლიტიკურ შეკვეთას ასრულებენ?

ვინ შეაჩერებს ამ ორ, უღმერთო და უსინდისო ვაი ჟურნალისტს, ნიკუტა გვარამიას და ელისტრახო კილაძეს, რომლებიც თამარ ბაჩალიაშვილის სახელს ლაფსა და ტალახში სვრიან?

თამარ ჩერგოლეიშვილი: „გადამწყვეტ ბრძოლას იგებს არა საყვარელი და ფუმფულა, არამედ ის, ვისაც ყვ....ბი და ენერგია აქვს“

ბიძინა ივანიშვილის წისქვილი

გიენთა საძმო ბერას წინაალმდეგ

კაცი მომავლიდან

აშშ თეთრი და შავი რადიკალების პირისპირ

იყიდება დედამიწა

სამეგრელოში ნაცი „ჯოყლივირები“ ვერ გაიმარჯვებენ

გვესაუბრება სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაციის უფროსი, მწერალი, ლაშა გვასალია:

— ბატონო ლაშა, ოპოზიციამ უკვე დაასახელა კანდიდატურები სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. რას იტყვით, აქვთ მათ მორალური უფლება არჩევნებში მონაწილეობის მიღების?

— ეს ვითომ ოპოზიციონერები 9 წელი რომ იყვნენ ხელისუფლებაში, ახლა ჰგონიათ, ხელისუფლებაში ყოფნა მუდმივია. ვერ ელევიან იმ 9 წელიწადს, რომ დაპარპაშობდნენ და ყველაფერი ფეხებზე ეკიდათ.

არჩევნები დემოკრატიული

პროცესია, ყველას აქვს უფლება, მიიღოს მონაწილეობა. ნებისმიერ პოლიტიკურ პარტიას, ჯგუფს, პირს აქვს უფლება, იყაროს კენჭი, მაგრამ რაც შეეხება ე.წ. „გაევროპელებულებს“, იგივე ევროპელ ნაცებს — ყველას კარგად გვახსოვს, რას წარმოადგენდნენ ისინი. ავადმოსაგონარი 9-წლიანი მმართველობისას როგორ არბევდნენ და ანგრევდნენ ეკლესიებს, სპობდნენ ყველაფერს ეროვნულს.

გლდანში მამა ბასილის ეკლესიის დარბევა იყო სამარცხვინო ფაქტი — ეკლესიის ჭიშკარი ჩამოიღეს, ტაძრის შესასვლელი შელეწეს, მრევლს სცემეს, მოძღვარი წვერით ათრიეს და მერე ციხეში აყურყუტეს 6 წელიწადი. ვინ უარყოფს ამას?! — ახალაიები? რომელთა გვერდით იდგნენ ბოკერია-მერაბიშვილ-ბარამიძე? ეს ადამიანები აპირებენ ისევ ხელისუფლებაში მოსვლას?

— ეკლესიას რატომ ებრძოდნენ, თქვენი აზრით?

— კარგად მახსოვს „ევრონაცების“ ლიდერის ნათქვამი: უღირს მამაოებს დავიჭერთ კი არა, გავპარსავთო.

ვისი გამპარსავები იყვნენ ეს ნაძირლები, ესენი.

რა დამავიწყებს უგულავას, ამ უტიფარის საქციელი, ამბიონზე რომ ავარდა და პატრიარქს შეურაცხყოფა მიაყენა.

თქვენ მკითხეთ, რატომ ებრძოდნენ ეკლესიასო. გიპასუხებთ და დასკვნა თავად გამოიტანეთ: დამისახელეთ ერთი ეკლესია, რომელიც მათი შემოწირულობებით ან ინიციატივით აშენდა საქართველოში 2003-დან 2012 წლამდე.

ისინი ანგრევდნენ ეკლესიებს და ამასთანავე, ყოველივე ტრადიციულს და ეროვნულს და ამ ბრძოლით და ეროვნულობის ნგრევით არსებობდნენ ისინი მაშინდელ ქართულ რეალობაში.

ახლაც უნდათ იგივე დრო დაგვიყენონ.

ამასწინათ მეზობელი შემხვდა ხობში. პატიოსანი, გლეხი კაცია. პოლიტიკაზე ჩამოვარდა ლაპარაკი და შეკითხვასავით შემომაპარა: რას ფიქრობ, რა პირით უნდათ არჩევნებში მონაწილეობა და გამარჯვება ნაცებს და ყოფილ ნაცებს, როცა ჩვენი ჭირი და ლხინი არასდროს გაუზიარებიათ, ერთი მიცვალებულის სამძიმარზეც არ ყოფილა არც ერთი მათგანი არასოდეს. ამას

იმიტომ გეკითხებიო, არჩევნების დროს რომ ვახსენდებით, სხვა დროს რატომ არავის ახსოვს ჩვენი არსებობაო. თანაც ამბობენ, მეგრელები ვართო, ხოდა, მეგრელებმაო, საწუხილო მომენტში უფრო ვიცით გვერდით დგომა და ესენი რა ჯიშის ხალხია, ხომ არ იციო?!

ასე ფიქრობს ხალხი. ჩვენ ვირჩევთ იმას, ვინც ჩვენ ცუდს და კარგს იზიარებდა წლების განმავლობაში, არჩევნები სულ რომ არ იყო, ისეთ დროს გვედგნენ მხარში, გვამხნევებდნენ და გვაძლიერებდნენ.

— ბატონო ლაშა, იქნება შეიცვალნენ. ევროპული საქართველო დაარქვეს პარტიას და უფრო დემოკრატიულ პოლიტიკას აპირებენ, ალბათ.

— მომისმინე, ჩემო კარგო, უგულავას და ბოკერიას ევროპელობა არ გაიშვას არსად.

ევროპა მე ვიცი ბაირონით. ესენი უეროვნებო, უღირებულებო, უარაფრო ადამიანები არიან. ერთი ქართული ანდაზაა ასეთი: რაც სოფლის ნახირს, ის ბებრის ხბოსაო.

რაც „ნაცმოძრაობას“, ის ბოკერია-უგულავა-ქებურიას და სხვებს და მიიღებენ კიდევაც პასუხს სამეგრელოს მოსახლეობისგან. ყველამ ვიცით, არავითარი გადასხვაფერება მათი არ მომხდარა, იგივე არიან, არიან ერთი გუნდი, ერთი მიზნის და „კულტურის“ ხალხი. ჩვენ ვიცით, რას წარმოადგენდა მათი ღირებულებები, ფასეულობები, ისინი საკმაოდ სცდება ყოველივე ქართულს და ეროვნულს.

სამეგრელო, მოგეხსენებათ, სხვა ურთიერთობების მატარებელი სივრცეა. ამიტომ უგულავა-ბოკერიასნაირი ადამიანები ჩვენთან ფეხს ვერ მოიკიდებენ, ისინი შორს არიან ჩვენი კულტურული ტრადიციებისგან და

ზოგადეროვნული ფენომენისგან, რომელსაც ვუფრთხილდებით არა მხოლოდ წლების, არამედ საუკუნეების განმავლობაში.

— ბატონო ლაშა, უგულავა, ბოკერია, ქებურია და მისთანეები, ამ ღირებულებებს ნაზიარები თუ არ არიან, არ სმენიათ მაინც?

— ესენი პოლიტიკაში ეწევიან, ე.წ. დაჟინების მეთოდს, ატივტივონ თავიანთი თავი, რომ ამომრჩეველს, თითქოსდა, გაუხედნონ ყური. ჩვენი ეროვნული, კულტურული სივრცე სურთ რომ გახლიჩონ, შუაში თვითონ ჩასახლდნენ და მხატვრულად რომ ვთქვა, ირგვლივ ყველაფრის ლპობა და ხრწნა დაიწყონ, ანუ იმ ღირებულებების მოსპობა-გადაგვარება, რომელზეც ჩვენ ვართ აღმოცენებული და დამყარებული.

— ხალხი რას ფიქრობს, ბატონო ლაშა, როგორია განწყობა მოსახლეობაში?

— ხალხის განწყობა მათ მიმართ ცალსახაა. თუ ჰგონიათ, რომ სამეგრელოს მოსახლეობა მხარს უჭერს, ამოეწერონ პარტიული სიებიდან და დამოუკიდებლად, მაჟორიტარებად იყარონ კენჭი, მაგრამ მშვენივრად იციან, არავითარი შანსი რომ არ აქვთ.

— მე ვიცი, სამეგრელოში მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ოპოზიციის პოლიტიკას ემხრობა. ვინ არიან ეს ადამიანები და რატომ ვერ მოიგეთ მათი გულები ამ ხნის განმავლობაში?

— მათ ჰყავთ მომხრეები, მაგრამ ესენი არიან ის ადამიანები, რომლებიც 9 წლის განმავლობაში ნაციონალების დანაშაულებრივ საქმიანობაში იღებდნენ მონაწილეობას — არეკეტებდნენ მოსახლეობას, აპატიმრებდნენ უკანონოდ და ა.შ. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც სახელმწიფო სამსახურებში იყვნენ დასაქმებული და გათავისუფლდნენ იმის გამო, რომ გადაამეტეს თავიანთ სამსახურებრივ უფლებამოსილებებს. განსაკუთრებით პენიტენციარული სამსახურების თანამშრომლებს ვგულისხმობ. მოგეხსენებათ, პენიტენციარულ სამსახურს დავით ჭაკუა ხელმძღვანელობდა, რომელსაც კურირებდნენ ძმები დათა და ბაჩო ახალაიები. სამეგრელოს რეგიონის ახალგაზრდების 80% ამ სამსახურებში იყო დასაქმებული. როცა ხელისუფლება შეიცვალა, ის ადამიანები, რომლებსაც, ნებსით თუ უნებლიედ, ხელისუფალთა დავალებით, დანაშაულებრივი ქმედებები ჰქონდა განხორციელებული, ზოგნი დარჩნენ თამაშგარეთ, ზოგნი — საბრალდებო სკამზე. ახლა ისინი და მათი ნათესავ-მეგობრები, ცხადია, ლამობენ, ხელისუფლებაში კვლავ ყოფილი მთავრობის წარმომადგენლები მოვიდნენ, რათა ძველი, უკანონო საქმიანობა გააგრძელონ.

— რა პირით შეხვდებიან კანდიდატები მოსახლეობას, რა აქვთ სათქმელი, თქვენი აზრით?

— ყველა დაინახავს, რომ ზურგს შეაქცევს სამეგრელოს მოსახლეობა გამყიდველებს, ჯალათებს, ეკლესიების დამრბევებს. მაგათნაირად ქვებით არავინ არავის გაეკიდება, მაგრამ ლანძღვა-გინებას, სავარაუდოდ, ბევრს იწვნევენ.

ეს ე.წ. ოპოზიცია თითიდან გამოწოვილი არგუმენტებით რომ ლანძღავს ხელისუფლებას, რას უნდა მიაღწიოს ასეთმა ოპოზიციამ?!

9 წლის მანძილზე საქართველოს მოსახლეობა ჰყავდათ დაშინებული, ღირსებაშელახული, უფლება და ნებააყრილები საზ-

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

ლებში იმალებოდა ხალხი, მთელი 9 წელი სამგრელო ჰგავდა მიცვალებულების პანთეონს, რა უნდა ესაუბრონ ახლა მათ სამეგრელოს მოსახლეობას? — ტყუილები, ფანტაზიები, დემაგოგია — ამას მეგრელი კაცი არ მიიღებს და არ მოტყუვდება.

— „ქართული ოცნების“ კანდიდატებს რა აქვთ სალაპარაკო სამეგრელოს მოსახლეობასთან?

— ზუგდიდის მაჟორიტარობის კანდიდატი ირაკლი ჩიქოვანი გახლავთ. მას დიდი ხანია ვიცნობ. მისი დახასიათება შორს წაგვიყვანს და მოკლედ ვიტყვი: ბატონი ირაკლი არის უნიკალური ადამიანი, ოჯახიშვილობით, განათლებით, ადამიანობით გამორჩეული. ზუგდიდში არის დაბადებული და გაზრდილი, დედამამაც ზუგდიდში ცხოვრობს. ის არის იდეური კაცი, პრინციპების მქონე პიროვნება. სხვათა შორის, ირაკლი ჩიქოვანის მოწინააღმდეგეს ზუგდიდში — გიგი უგულავას, ნაცრეჟიმის დროს სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორს, მეგრელებმა საინტერესო სახელი „ჯოყლივირი“ შეარქვეს. ამ ერთ ზედსახელში ჩაატიეს ყველაფერი, რაც არის უგულავას ხასიათის და გარეგნობის პირდაპირი მახასიათებელი. ამ სახელის დარქმევით კარგად ჩანს, როგორ უყურებს უგულავას სამეგრელოში ხალხი და საზოგადოება.

— „ჯოყლივირი“ რას ნიშნავს?

— „ჯოყლივირი“ ნიშნავს მარად ვირუკელას, რომელიც არ იზრდება, არის განუვითარებელი, მისი გონება პატარა ვირის გონებაზე შორს ვერ მიდის.

თავად ირაკლი ჩიქოვანს კი ხალხმა „მახა“ შეარქვა, რაც მეგრულად საიმედო შვილს ნიშნავს.

აქ კარგად ჩანს, ხალხის დამოკიდებულება კანდიდატებისადმი.

რაც შეეხება ხობის, ფოთისა და სენაკის მაჟორიტარობის კანდიდატს ირაკლი ხახუბიას. ის წლების განმავლობაში ბიზნესით იყო დაკავებული, დასაქმებული ჰყავს უამრავი ადამიანი სამეგრელოს სხვადასხვა კუთხეებიდან. შეიძლება ვინმეს გაუკვირდეს, მაგრამ ირაკლი ხახუბია კულტურტრეგერია თავისი შინაგანი განწყობით. წლების განმავლობაში იგი აფინანსებდა რეგიონში მოღვაწე არაერთი მწერლის წიგნს, ხელს უწყობდა ჟურნალ-გაზეთების გამოცემას, ბევრ კულტურულ ღონისძიებას მაშინ, როცა საერთოდ არ იყო პოლიტიკაში. ირაკლი დღემდე გვერდით უდგას სამეგრელოს კულტურულ ინტელიგენციას, უფრთხილდება ჩვენს ტრადიციებს და ეროვნულ თვითშეგნებას.

სხვათა შორის, ირაკლი ხახუბიას ბაბუა კოწია ხახუბია იყო კაცი, რომელმაც პირველი კაფე გახსნა ფოთში. კოწია ხახუბიამ შექმნა ასევე პირველი საფეხბურთო გუნდი სამეგრელოში.



აქვე მინდა ვისაუბრო სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორზე ალექსანდრე მოწერელიაზე, ეს არის მართლაც არაჩვეულებრივი პიროვნება. რეგიონის იმედი, სული და გული.

აღსანიშნავია, რომ ის არის შესანიშნავი მეღვინე და ცდილობს ქართული ღვინის პოპულარიზაციის საზღვრები რაც შეიძლება გააფართოვოს.

მისი თაოსნობით ჩატარდა მეგრული ჯიშის ყურძნის ღვინოების პირველი ფესტივალი. მან დიდი შრომა გასწია, რომ უნიკალური ენდემური ჯიშები აღმოჩენილიყო და არ დაკარგულიყო სამეგრელოში.

ამ კაცს დიდი წვლილი მიუძღვის სამეგრელოში ფაროსანას დამარცხების საქმეში. სასხლავით და საწამლი მანქანით ხელში დადიოდა თხილის პლანტაციებში და ქუჩა-ქუჩა, ეზო-ეზო ეხმარებოდა მოსახლეობას.

ამათ ეპაექრება ოთხ მუნიციპალიტეტში: აბაშაში, მარტვილში, ჩხოროწყუსა და წალენჯიხაში ქალბატონი ბელა ქებურია, რომელმაც საზოგადოებას თავი დაამახსოვრა იმით, რომ პარლამენტში გაურკვეველი შემადგენლობის აყროლებული სითხე მოასხა.

რით მოიწონებს თავს ხელისუფლება ხალხთან შეხვედრისას წინასაარჩევნოდო? მკითხეთ. — რაც ჩამოვთვალე, ამას გარდა უამრავი სასიკეთო პროექტი არის განხორციელებული რეგიონში. ზუგდიდში საუკუნით ნანატრი კანალიზაციის პროექტი დასრულდა. წყალმომარაგების საკითხები გადაიჭრა, გზების ძირითადი ნაწილი მოწესრიგდა და ახლაც მიმდინარეობს სამუშაოები — ბეტონის და ასფალტის საფარის დაგება. შეუჩერებელი პროცესია ზუგდიდში. ხალხი ხუმრობს, ზუგდიდი „რემონტზეა შეყენებულიო“. ყველა ხედავს, რა ხდებოდა ადრე და რა ხდება ახლა.

რეგიონში თავისუფლების თამასა არის ძალიან მაღალი. არავის ეშინია, რომ ვიღაც დაიჭერს, ვიღაც ავტომატს, ან ნარკოტიკს ჩაუდებს ჯიბეში.

ამიტომაც, მე დღეს არ მინდა, რომ ადამიანურ სიყალბესთან ერთად გამოჩნდეს ჩვენი კულტურის არარეალური, ჰიპერბოლიზებული სახე. ამ არარეალურ სიყალბეს სთავაზობს ჩვენს მოსახლეობას ე.წ. ოპოზიცია ყოფილი ნაციონალების სახით. ისინი ყველაფერზე მიდიან.

კრიზისშია ჩვენი ფასეულობები, ეროვნული კულტურა და ჩვენი ცნობიერება, რაზეც, სამწუხაროდ, იმოქმედა უტიფრების და ნაძირლების წარსულმა იდეოლოგიამ. ახალგაზრდებს, ჩვენს მომავალ თაობას, ძალიან ცუდ რამეებს უბეჭდავდნენ გონებაში. ყველაფრის მოსპობა ჰქონდათ განზრახული.

ახლა ჯერი საზოგადოებაზეა. სწორი არჩევანი უნდა გაკეთდეს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ გამარჯვებაში და ასეც იქნება.

ქართველ კაცს ყოველთვის სწორი არჩევანი გაუკეთებია, მაგრამ ახლა ჩვენი მოტყუებული ხალხი და ახალგაზრდობა უნდა დავარწმუნოთ, რომ არავითარი მხარდაჭერა არ ჰქონდეს ე.წ. ოპოზიციას სამეგრელოში, რომ მიხვდნენ, მათი ადგილი არაა პოლიტიკაში, იმ საზოგადოებრივ სივრცეში, რომელშიც ვიმყოფებით ჩვენ და ჩვენი მართლაც ღირსეული საზოგადოება. ხალხი, რომლებიც დღემდე ცოცხლობენ „ვეფხისტყაოსნის“ ტრადიციებით, ვაჟას, აკაკის, ილიას, კონსტანტინე გამსახურდიას ღირებულებებით.

დარწმუნებული ვარ, ჩვენი ხალხი მიიღებს სწორ გადაწყვეტილებას.

არ მინდა, რომ ზოგიერთი გულნატკენი ადამიანი გახდეს დასაყრდენი იმ ცრუ პოლიტიკოსების, რომლებიც სულიერად და ხორციელად წაბილწულები აპირებენ წარსდგნენ ჩვენი ამომრჩევლების წინაშე.

აქვე მინდა ერთი მიმართვა გავაკეთო ჩვენი მოსახლეობისადმი: არჩევნებისთვის გონივრულად მოვემზადოთ, სწორად განვსაზღვროთ, რა გადაგვარჩენს და რა დაგვღუპავს — აღმშენებლობით ვიაროთ წინ თუ ისევ სატანისეულ გზას დავუბრუნდეთ. ეკლესია-მონასტრების ამშენებლებს დავუჭიროთ მხარი თუ დამანგრეველებს და უფლის უარმყოფელებს.

ყველაფერი ჩვენს ხელთაა — ტრადიციული და ძლიერი ქვეყნის ასაშენებლად წინ უნდა ვიაროთ ერთად, ერთგულოვნებით და უფლისმიერად.

მოსახლეობა სააკაშვილის მთავრობამ 9 წლის განმავლობაში ამყოფა სამოქალაქო ფუნქციის გარეშე. ვინც მხარს არ უჭერდა მათ იჭერდა და ციხეებში ყრიდა.

ხელოვნური პოლიტიკური სელექცია ყველაზე საფრთხილო და საშიშია ყოველ დროში. სწორედ ყურით მოთრეულმა ე.წ. პოლიტიკოსებმა დაღუპეს ის მთავრობა და ქვეყანაც კინაღამ დააქციეს. დაუმსახურებლად რომ ანიჭებდა სააკაშვილი გენერლის და ღირსების ორდენებს ადამიანებს, იმათ დაანგრიეს ყველაფერი, რაც ხალხს გვქონდა ნაშენები ათეული წლების მანძილზე, ჩარეცხეს ჩვენი ღირსეული ინტელიგენცია. დღეს სააკაშვილის ბანდის მიერ ჩარეცხილი საზოგადოება დგას წინა ხაზზე და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მსგავსი უბედურება აღარ განმეორდეს. ეს მხცოვანი ადამიანები დღეს ახალგაზრდებთან ერთად დგანან. სწორედ ეს ხალხი კეთილად იძიებს შურს ოქტომბერში და საბოლოოდ ვეტყვით უარს რეგრესს და დაქცევას, დიდ წუნწუხეთს „ნაცმოძრაობის“ და მისი განაყოფების სახით, რომელთაც არაფერი ეშველებათ, გარდა საბოლოოდ მოკვეთისა.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

®

რა გავლენას იქონიებს საქართველოზე ამერიკული „პერესტროიკა“

ამერიკაში დღეს ხდება ის, რაც გასულ საუკუნის ბოლოს საბჭოთა კავშირში მოხდა – „პერესტროიკა“!

„საერთო გაზეთის“ სტუმარია ფილოსოფოსი ზაზა შათირიშვილი:

— ზაზა, ამერიკელ კონგრესმენთა ერთი ნაწილის აზრით, საპარლამენტო არჩევნებში თუ ოპოზიცია გაიმარჯვებს, ეს ჩაითვლება დემოკრატიად. ასევე, გვეუბნებიან: ივანიშვილი რუსული პროექტია, ოლიგარქია შეამციცრეთო. რა უნდა ჩვენგან ამერიკას?

— მოდი, ასე ვთქვათ: არსებობს ორი ამერიკა — ერთს განასახიერებს ტრამპი, ხოლო მეორე ე.წ. „დიფ ქანთრია“, რასაც თავად პრეზიდენტი „ვაშინგტონის ჭაობს“ ეძახის. ანუ, ერთი მხრივ არის ამერიკა როგორც ნაციონალური სახელმწიფო, უფრო ზუსტად, ამერიკელი საზოგადოება, რომელსაც ტრამპი განასახიერებს და მეორე მხრივ სისტემა, რომელიც ყველგან არსებობს. აღნიშნული სისტემა, ამავდროულად, დაპირისპირებაშია საკუთრივ ამერიკასთან მისი ტრადიციული გაგებით. საქმე ბევრად უფრო რთულად გახლავთ, ვიდრე წარმოგვიდგენია. საბოლოოდ, ამ ყველაფერმა კოლაფსი გამოიწვია. მე, ამერიკანისტი არ ვარ, მაგრამ შემიძლია შემდეგი რამ ვთქვა: მსგავსი კრიზისი, აქამდე მინიმუმ ორჯერ იყო – ერთი – სამოქალაქო ომი და მეორე – 60-იანი წლები, რამაც საბოლოოდ, საკუთრივ საარჩევნო და ორპარტიული სისტემის კრიზისამდე მიგვიყვანა. ფაქტობრივად, ჩვენ, ვხედავთ, რომ „რესპუბლიკელებისა“ და „დემოკრატების“ სახით სწორედ ნაციონალურ სახელმწიფოსა და სისტემას შორის ხდება დაპირისპირება. საქმე ისაა, რომ თავად „რესპუბლიკური პარტიაც“ გაორებულია. „დემოკრატიულ პარტიაში“ კი ისეთი რამ გაჩნდა, რაც აქამდე, არასდროს ყოფილა. ეს რაც შეეხება იდეოლოგიას. ანუ, სახეზეა სისტემური კრიზისი. აქედან გამომდინარე, მთავარი საკითხი ლეგიტიმაციაა. არჩევნები როგორადაც არ უნდა დამთავრდეს — ტრამპი ჩადგება ქვეყნის სათავეში თუ ბაიდენი, რა თქმა უნდა, ორივე შემთხვევაში ამას ძალიან სერიოზული კოლაფსი მოჰყვება. ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს, ყველაფერი ერთ დღეში ჩამოიშლება. ეს ძალიან ხანგრძლივი პროცესია, რაც რაღაცნაირად ჰგავს იმას, რას საბჭოთა კავშირში „პერესტროიკის“ სახით ხდებოდა. ეს პროცესი „პერესტროიკამდე“ დაიწყო და საბჭოთა კავშირის დემონტაჟამდე, თუმცა, სინამდვილეში, უფრო მეტიც, 2000 წლამდე გაგრძელდა. 15 წელი გავიდა და საბოლოოდ, პუტინის რუსეთი მივიღეთ. ამერიკაშიც, დაახლოებით, ასეთი ტიპის გარდაქმნებია. ამერიკა რუსეთისგან განსხვავებით, დიქოტომიაზე, ანუ, ბინარულ ოპოზიციებზე დაფუძნებული ქვეყანაა. ამიტომ, ცხადია, აქ, მოვლენები, სხვაგვარად განვითარდება. „პერესტროიკას“ შეგვიძლია შევადაროთ იმდენად რამდენადაც ხდება გარდაქმნა, ბინარულობა ნარჩუნდება, ოღონდ, სხვა დონეზე, ჩრდილოეთი და სამხრეთი შემდგომ ლიბერალურ-კონსერვატიულ დიქოტომიაში გარდაისახა. ბინარულობა შენარჩუნდება, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ამერიკა დაიშლება. მაგრამ უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი ჰეგემონიის დასასრულის დასაწყისი დაიწყო. რა თქმა უნდა, ესეც ხანგრძლივი პროცესია. აშშ წლებია მსოფლიოს ლიდერი და ჰეგემონი, ზედამხედველი იყო და ახლა, ამ კუთხით, ძალიან სერიოზული კრიზისი დაიწყო. ეს უკავშირდება შემდეგს: ჩვენ, უკვე, გლობალურ სისტემაში ვიმყოფებით, პირველ რიგში, ინფორმაციული თვალსაზრისით, რაც ყველაზე კარგად სწორედ ამერიკიდან ჩანს. რაც იქ იწყება, იგივე, მალევე ყველა ქვეყანას მოედება. ასე, რომ გვინდა თუ არა, ამერიკა ყველგან არის. ასეთი ხუმრობა არსებობს: აშშ-ს პრეზიდენტი გარესამყაროსთვის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მთელი მსოფლიო უნდა ირჩევდესო. პიროვნების და სისტემის როლი, ორივე, ძალიან მნიშვნელოვანია. მოკლედ, ასე ვიტყოდი: დღეს გვაქვს სწორედ გამოხატული სისტემური კრიზისი და ტრამპი ამ ავანგარდშია. გორბაჩოვი პერესტროიკის სიმბოლო იყო. აქ, მის მოწონება-არმოწონებაზე არ არის საქმე. ეს იყო სიმბოლო. ახლა, ამ კრიზისის სიმბოლო, ტრამპია.

— ამერიკაში ნოემბერში არჩევნებია. ეს რა ასახვას ჰპოვებს საქართველოზე?

— ჩვენს კონსტიტუციაში მთავარი ცვლილება უნდა შევიტანოთ — საქართველოში არჩევნები აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნების მერე უნდა ტარდებოდეს, რათა ვიცოდეთ როგორ მოვიქცეთ. რა თქმა უნდა, დღეს, ეს ყველაფერი კიდევ უფრო რთულია. საქართველო მთლად ვასალი არ არის, მაგრამ პატრონი-კლიენტის დამოკიდებულება გვაქვს, ანუ, კლიენტელისტური ქვეყანა ვართ. მაფიაც ამ პრინციპით არის აგებული. შეგვიძლია, ნათლიმამას დასაწყისი გავიხსენოთ. ეს გახლავთ ტიპური ურთიერთობა პატრონსა და კლიენტს შორის. რა თქმა უნდა, საქართველო, დღეს, ისეთ სიტუაციაშია, რომ მისი პატრონი არის ამერიკა. აქედან გამომდინარე, იგი ყველა კლიენტს სხვადასხვაგვარად ექცევა. მაგალითად, საუდის-არაბეთში არასდროს დააყენებს საკითხს ლგბტ თემატიკის შესახებ. ეს გამორიცხულია, იქ, სხვა ტიპის ურთიერთობებია. საქართველოს თავისი გეო-სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ყურადსაღებია კავკასია, რუსეთი, ახლო აღმოსავლეთი. აქედან გამომდინარე, მიმართება ასეთი უნდა იყოს: ჩვენ, 2008 წლის შემდეგ გარკვეულ სიტუაციაში აღმოვჩნდით. 2003 წლამდე, გეო-სტრატეგიული თვალსაზრისით, შეზღუდვები არ იყო, ვგულისხმობ, შევარდნაძის პერიოდს. 2008 წელმა ეს ყველაფერი, ფაქტობრივად, მინიმუმამდე დაიყვანა. ანუ, ჩვენ, პოლიტიკურად ჩიხურ სიტუაციაში ვართ. მაგრამ ამავე დროს, არსებობს არამხოლოდ ხილული პოლიტიკური ჟესტები, არამედ ის, რასაც კულისებს უწოდებენ. რა თქმა უნდა, აშშ-ში სისტემასა და ნაციონალურ სახელმწიფოს შორის გარკვეული წინააღმდეგობაა. მაიკლ პენსი ამბობს: საქართველო და ამერიკა ორი ქრისტიანული ქვეყანაა და ეს ყველაზე მნიშვნელოვანიაო. აქ, ნაციონალური სახელმწიფო იგულისხმება. ხოლო რაც შეეხება სენატორებისა და კონგრესის ქცევას, აქ, არის „დიფ ქანთრი“ ანუ, სისტემა. ეს ორი სხვადასხვა რამ არის, რაც ძალიან ჰგავს ოქროს ურდოს დემეტრე თავდადებულის პერიოდში. მოკლედ, საკმაოდ განუზღვრელი და გადღაბნილი სიტუაციაა და მომავალი ძალიან ბუნდოვანია. ვიმეორებ, ბაიდენი გაიმარჯვებს თუ ტრამპი, ორივე შემთხვევაში, ლეგიტიმაციის კრიზისი გარდაუვალია. დავსვათ კითხვა: აქვს თუ არა მნიშვნელობა საქართველოსთვის ვინ გაიმარჯვებს? — ახლა, უკვე, დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს, 2016 წელს ჰქონდა. ნებისმიერ შემთხვევაში ეს იქნება ძალიან გაღრმავებული კრიზისი და მისი რადიკალიზაცია. ჩვენ ისეთ სიტუაციაში გვიწევს ცხოვრება, რასაც ვერავინ წარმოიდგენდა. ახლა, ძველი ნაციონალური ე.წ. ბოკერია-რამიშვილისეული დიქოტომიური აზროვნება უკვე ვეღარ გამოდგება. ამიტომ, დადგა დრო როცა ისინი ისტორიის სანაგვეზე მიდიან. მათი დრო, საბოლოოდ, წავიდა. აქ, სხვა გამოწვევაა. მე არ ვამბობ, რომ გეო-სტრატეგიული აზროვნების თვალსაზრისით, უკეთესი ძალები მოვლენ ან უარესი, მაგრამ დროის შესაბამისი, რაც კონიუნქტურას გულისხმობს. შეიძლებოდა 2003 წელსაც ყოფილიყო სხვა პარტია, რომელიც უფრო რაციონალური იქნებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ასპარეზზე ერთადერთი „ნაცმოძრაობა“ აღმოჩნდა. სხვა ძალა არც იყო. რა თქმა უნდა, ის იყო დროის ანუ, სისტემის შესაბამისი. ამ სისტემას შეიძლება ბუში-ობამა დავარქვათ. მაშინ ჩაითვალა, რომ ერთადერთი ძალა „ნაცმოძრაობა“ არსებობს და მხარი მას უნდა დავუჭიროთ. საბოლოოდ, 2008 წლის კატასტროფაც ამან გამოიწვია. ჩვენ, ახლა, ამ კატასტროფის შედეგს ვიმკით.

— არჩევნები ჯერ არ ჩატარებულა და. ოპოზიცია უკვე კოალიციური მთავრობის დაკომპლექტებასა და პრემიერ-მინისტრების კანდიდატურებზე მსჯელობს.

— ეს, უკვე, არის გუშინდელი დღე. დღეს, ფაქტობრივად, ოპოზიცია არ გვყავს, რაც ჩვენმა სტრატეგიულმა პარტნიორებმა გააკეთეს მაშინ, როცა მთელი ოპოზიციური სპექტრი „ნაცმოძრაობის“ გვერდით შეკრიბეს. ერთი მხრივ, თითქოს, ეს რაციონალური იყო — გაერთიანებაში ცუდი ხომ არაფერია, მაგრამ მოხდა შემდეგი რამ: მათემატიკაში არსებობს ასეთი წესი — როცა ნულზე ვამრავლებთ, ყველაფერი ნულდება. ანუ, ეს ნული უნივერსალური აღმოჩნდა, ასე ვთქვათ: „ნაცმოძრაობა“ გამაერთიანებელი აღმოჩნდა და ყველა განულდა. ყველა ეს ძალა როგორც კი „ნაცმოძრაობას“ მიუახლოვდა, მაშინვე განულდა. აი, ასეთი სურათი მივიღეთ. პა-

რადოქსული მომენტია. თვითონ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები, პირობითად, ლიბერალური დასავლეთი, ამას, ალბათ, ვერც იფიქრებდა. ეს არც „ქართულ ოცნებას“ გაუკეთებია და არც ბიძინა ივანიშვილს, არამედ თავისი ხელით გააკეთეს ჩვენმა სტრატეგიულმა პარტნიორებმა. მათ, უბრალოდ, ვერ წარმოიდგინეს, რომ „ნაცმოძრაობა“ ჩვეულებრივი პოლიტიკური სუბიექტი არ არის. ეს არის სექტანტური ორგანიზაცია, რომელსაც თავისი მყარი თვისებები აქვს — სექტასთან ვინც მიდის, ყველა სექტანტი ხდება. შედეგად, მოხდა მათი მარგინალიზაცია. ეს არ იყო ჩანაფიქრი, მაგრამ ასე გამოვიდა. რაც სურდათ იმის საწინააღმდეგო გაკეთდა. გვახსოვს, თურქეთში ერდოღანს, რამდენიმე წლის წინ სამხედრო რეფორმები მოსთხოვეს. ამ რეფორმების შედეგად მივიღეთ არა ჯარი რომელიც იყო დასავლური ღირებულებების სადარაჯოზე, არამედ ჯარის ისლამიზაცია მოხდა. პირიქით გამოვიდა. აქაც პირიქით მოხდა, კარგი მიზანი იყო დასახული — დიალოგი, მრავალფეროვნება და მივიღეთ სრული გამარგინალება და ოპოზიციის სიკვდილი. მივეზე მეტი ვადით არ უნდა აირჩეს. სამაგიეროდ, სენატორი არის როგორც თავადაზნაურობა. მერკელი რამდენი წელია რაც თანამდებობაზეა. პუტინზე არაფერს ვამბობ იმიტომ, რომ რუსეთი არ არის დემოკრატიული ქვეყანა, მაგრამ გერმანია ხომ არის. ასე, რომ ყველა დემოკრატიას თავისი დამახასიათებელი მომენტი აქვს. მაგრამ რადგან ამერიკა სტანდარტია და ჩვენ იმიტატორები ვართ, მაშინ დემოკრატიული არის ის, რასაც ამერიკელი იტყვის. მაგრამ ევროპაც ხომ არსებობს. თუ ევროპაში ვინმე იტყვის, რომ არჩევნები რომელიც ჩატარდება ლეგიტიმურია, მაშინ იქმნება ლეგიტიმაციის კრიზისი. სხვა საკითხია ნაციონალური სახელმწიფოს ანუ ტრამპის პოზიცია, რომელმაც სერბებს ბოდიში მოუხადა — ომები აღარ იქნებაო. ომები თუ არ იქნება, ამის გაგრძელება რა არის, ეს სად მთავრდება? — თუ არ იქნება ომები, მაშინ კლიენტელისტური დამოკიდებულებაც აღარ უნდა იყოს ან, ყოველ შემთხვევაში, ეს უნდა იყოს შენს ნახევარსფეროში. სად დამთავრდება ყოველივე, ეს არის მთავარი. ეს არის ძალიან შორს მიმავალი პროცესი, სადაც ქანებით საბჭოთა არჩევნებისკენ. ეს თავის მხრივ სისტემის კრიზისის ქართული გამოხატულებაა. იმიტომ, რომ თუ ამერიკაში ანტისისტემა ტრამპის ამერიკაა, საქართველოში ანტისისტემა არის სწორედ ის, რასაც გამოხატავს ბოკერია. ეს პროექტი ჩავარდა. ძალით თუ ეცდები ამ პროექტის თავსმოხვევას ისეთივე პროცესი წავა როგორც სირიაში, ერაყში ხდება. როცა კლიენტი ხარ, შეიძლება გადააყირავო ხელისუფლება, მაგრამ 25 ათასი კაცი მაინც უნდა გამოვიდეს, როგორც „ვარდების რევოლუციის“ დროს. ამის რესურსი არ არსებობს. ანუ პრობლემური მომენტი შემდეგია: კი ბატონო, დღესვე შეიძლება ამ ხელისუფლების გადმოყირავება, მაგრამ მერე ვინ უნდა მოვიდეს, თან ისე, რომ მეტ-ნაკლებად ლეგიტიმურად ჩაითვალოს. აი, ეს არის პრობლემა. ანუ, აქაც კრიზისია. ისევ ვამბობ: ამერიკაში „პერესტროიკა“ კლიენტელისტურ ქვეყნებში ისეთი ტიპის სიტუაციებში აისახება, სადაც არის ის, რასაც პირობითად შეიძლება იმიტაციური დემოკრატია ვუწოდოთ.

— თუ „ქართული ოცნება“ სამართლიანად გაიმარჯვებს, ლეგიტიმურად არ ცნობენ?

— ნახე, როგორი რაღაც არის: დღევანდელი სენატორები რომ ავიღოთ, მათი მამებიც, ბაბუებიც სენატორები იყვნენ. ამერიკაში ითვლება, რომ პრეზიდენტი ორვიმეორებ, არ მაქვს იმის იმედი, რომ წყალგამყოფი, წითელი ხაზები მალე ჩამოყალიბდება. მაგრამ იმპერიები ან უცებ ინგრევიან ან მათი გავლენის შესუსტება ხდება — ჯერ ომებზე ამბობენ უარს, მერე კი კლიენტელისტურ დამოკიდებულებაზე. ჩვენ, სადღაც აქ ვართ გაჭედილი. ასე, ორი წლის წინ ვერ ვილაპარაკებდი. დღეს ამ ყველაფერს ვამბობ იმიტომ, რომ ამერიკაში მიმდინარე პროცესები ამის ღიად თქმის საშუალებას მაძლევს. როდესაც ამ ძირითადი ნარატივის და მისი გამომხატველი ფიგურების — ჯორჯ ვაშინგტონის, ტომას ჯეფერსონის, დელეგიტიმაცია ანუ, სიმბოლური დემითოლოგიზაცა ხდება, ეს რას ნიშნავს, რასთან გვაქვს საქმე, რომელ ამერიკას ველაპარაკებით? ეს არის ვაშინგტონის და დამფუძნებელი მამების ამერიკა თუ ანჯელა დევისის? ესეც უნდა გაირკვეს, ხომ. აქედან გამომდინარე, სახეზეა ძალიან სერიოზული იდენტობის კრიზისი. ჩვენ გვაქვს ურთიერთობა ქვეყანასთან, რომლის წარსულიც მოულოდნელი და გაუგებარია.

— ამერიკამ იცის რაც ხდება საქართველოშიო. მაშინ ისიც ხომ უნდა იცოდეს რას წარმოადგენენ „ნაცები“. რატომ გვაძალებენ ამ ძალას?

— მაგრამ კონკრეტულად ვინ გვაძალებს?! ძალიან ბევრი სუბიექტია. გასაგებია, რომ ეს უბრალო მოქალაქეების პრობლემა არ არის. ვინც მათ ელაპარაკება, ამბობს, რომ ამ ყველაფერში მრავალი თავი მონაწილეობს. ადრე, ერთი თავი იყო, ახლა — ბევრია. მეორე მხრივ, როცა ბევრი თავია ბრძოლა შიგნით მიდის ანუ, ფერადი რევოლუცია, დღეს, ამერიკაში ხდება როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით. ასეთ სიტუაციაში, ბუნებრივია, რომ ამ მოვლენებს ვეღარ აღვიქვამთ ისე, როგორც ათი წლის წინ.

— ზაზა, „ნაცები“, ფაქტობრივად, 1995 წლიდან, ამა თუ იმ ფორმით, ხელისუფლებაში არიან. ბოკერიამ თუ „ევროპული საქართველო“ დაირქვა, ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ის ბოკერია აღარ არის?

— აქ, მიდის ბრძოლა. ადრე იყო ამერიკა, რომელიც რუსეთს ებრძოდა და ბოკერია სჭირდებოდათ. დიდი ეჭვია, რომ შედეგების თვალსაზრისით, ბოკერია შეიძლება უფრო რუსეთს სჭირდებოდა, მაგრამ ეს, ალბათ, არც გაირკვევა. ვილაპარაკოთ ცხადი ენით: ამ თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, დასავლეთისა და რუსეთის დაპირისპირების კონტექსტში, ასეთი ხალხი სრულიად აუცილებელია. თუ ამ გზაზე მიდიხარ, ასეთი ხალხი გჭირდება. მეორე მხრივ, „ნაცები“ 2008 წელს სამარცხვინოდ მოიქცნენ და ქვეყანა მიატოვეს. რაღაც პასუხისმგებლობა ხომ უნდა აიღონ. არადა, ვიცით, რომ წითელ ხიდზე ბოკერიების რიგი დადგა. პირველ რიგში, მათ თავი მოიჭრეს თავიანთ სტრატეგიულ პარტნიორთან. ბჟეზინსკი ამბობდა: საქართველოს ერთი კვირა რომ გაეძლო, სულ სხვა სიტუაცია ექნებოდაო. აღმოჩნდა, რომ ხელისუფლებისადმი ნდობა და რწმენა სწორედ მაშინ დაიკარგა — ებრძვი რუსეთს და ამ დროს ქვეყნიდან ისე გარბიხარ საკუთარ ცხენს ასწრებ. ეს ყველაფერი ოთხი წელი ხელოვნურად გაჩერდა. „ნაცების“ უკან მობრუნება შეუძლებელია. ისტორიაში ხშირად ხდება, რომ ბნელი ძალა დიდხანს ძლებს ხელისუფლებაში, მას აქვს რაღაც ლეგიტიმაცია, ამისთვის ვაჟკაცობის მინიმუმი მაინც არის საჭირო. მათ ვერ გაითვალისწინეს, რომ ასეთ სიტუაციაში დიდი მნიშვნელობა აქვს სულისკვეთებას, ვაჟკაცობას. შეიძლება სუბიექტი არ იყოს დემოკრატიული. რა არის პოლიტიკა? — არამარტო შესაძლებლობების ხელოვნებაა, არამედ ომის დროს უნდა შეგეძლოს მინიმუმ თავის გაწირვა თუ არა, ღირსეულად მოქცევა მაინც. „ნაცებს“ ამიტომც არ უნდოდათ ომის თემა. მთავარი ის კი არ არის ომი ვინ დაიწყო, არამედ ვინ როგორ მოიქცა. ომი დაიწყო რუსეთმა, მაგრამ ესენი მოიქცნენ სამარცხვინოდ — მთელი ისტებლიშმენტი უკანმოუხედავად გაიქცა. ამის მერე როგორ უნდა მობრუნებულიყვნენ.

— ზაზა, რას ფიქრობთ კოალიციური მთავრობის შექმნაზე?

— კოალიციური მთავრობა, ასე თუ ისე, მოაზრებადი იყო ერთი წლის წინ, დღეს ეს შეუძლებელია. „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ალიანსმა მთელი ოპოზიცია დაღუპა. ეს, როგორც აღვნიშნე, სტრატეგიულმა პარტნიორებმა გააკეთეს. მთავარი, სიკეთე და ბოროტება არ არის. აღმოჩნდა, რომ „ნაცმოძრაობა“ არის ძალა, რომლის დრო უკანმოუხედავად წავიდა.

— რა არჩევანი აქვს საზოგადოებას?

— ხალხმა უნდა გაითავისოს, რომ ერთი მხრივ, ჩვენ, გეო-პოლიტიკურ ჩიხში ვართ. მეორე მხრივ, ამერიკაში მიდის „პერესტროიკა“. ეს სიტუაცია გარე ფაქტორების შედეგია. დიახ, გაცილებით უფრო დიდი, ვიდრე შიდა ფაქტორების. ეს ასე რომ მოხდა, ამაში ჩვენი წვლილიც არის. ეს შედეგია ჩვენი სტრატეგიის, რაც 80-იანი წლებიდან მოყოლებული ავირჩიეთ.

— რა შანსები აქვს „ქართულ ოცნებას“?

— როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩვენ, საბჭოთა არჩევნებისკენ მივექანებით. 2016 წლისთვის ასეთი გლობალური კრიზისი ჯერ კიდევ არ ჩანდა. მაშინ ახალი მომხდარი იყო „ბრექსიტი“ და ტრამპის არჩევნებიც მერე ჩატარდა. საკუთარ ქვეყანაში არჩევნებში ვერ გაიმარჯვებ თუ მხოლოდ გარე ძალების იმედი გაქვს. ბოლშევიკებმაც კი რომლებმაც გარკვეული დახმარება გარე ძალებისგან მიიღეს, მობილიზება შიგნით მოახდინეს. „ნაცმოძრაობამ“ ერთხელ ეს უკვე გააკეთა 2003 წელს და მეტჯერ ამ მდინარეში ვეღარ შევიდა. ამ დრომ ჩაიარა. მაშინ ქაოსი უნდა მოაწყო. ეს ვის აწყობს? ამიტომ არ მიდიან ბოლომდე ქაოსზე. ფაქტობრივად, ეს კავკასიისთვის, აბსოლუტურად, ტრაგიკული იქნება. ჩათვალე, რომ თუ აქ ქაოსს გამოიწვევენ, კავკასიაში ამერიკული ფაქტორი დამთავრდება.

— ხშირად ისმის: ნაცების ადგილი ციხეშია და არა არჩევნებზეო. ამერიკა ნაცვლად იმისა, რომ მათგან გათავისუფლებაში დაგვეხმაროს, ასე თავგამოდებით რატომ გვაძალებს ამ ძალას?

— ჩვენ სამართალს ვთხოვდით მოსამართლეს, რომელსაც თვითონ ჰქონდა ამ ბანდიტებთან ურთიერთობა. ის რომ თავისთავად 2008 წელი აღარ განმეორდა, ეს უკვე ძალიან კარგია. ყველა ადამიანი თავის დროში ცხოვრობს. თუ ამას უფრო ფართოდ შევხედავთ, ამოცანა რა არის? ხალხის შენახვა და ეროვნული კულტურის დროში გახანგრძლივება. დღეს, სისტემას ეს უკვე აღარ ესმის, რადგან სხვა, კერძოდ, ახალი ანთროპოლოგიის კატეგორიებით აზროვნებს, სადაც ლაპარაკია ხელოვნურ სოციალობაზე. ხალხს თავისი არსებობის გახანგრძლივება უნდა. ახალი ანთროპოლოგიის მოდელი, რომელიც ხელოვნურად წარმოებულ ახალ იდენტობებზე საუბრობს, ამის საპირისპიროა. აქ, ეს პროექტი ამიტომ ჩავარდა. ამას შეეცადნენ, თავის დროზე, ბოლშევიკები, ნაცისტები. ახალი ანთროპოლოგია ებრძვის ადამიანის ყოფას, ბიოლოგიურ გავრცელებას და კულტურული ყოფიერების დროში გაგრძელებას. ეს არის მთავარი პრობლემა.

— ზაზა, საუბრობენ, რომ ქართულ პოლიტიკაში „ნაცმოძრაობაზე“ საშიში ძალაც არსებობს.

— გეტყვით, კულტურული თვალსაზრისით, ვინ არის საშიში ძალა — არა ის ვისაც შენი მოკვლა შეუძლია, არამედ ის ვინც სულს კლავს. ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, არის არა თეთრი ან შავი, ქართველი ან სხვა ეროვნების, არამედ მთავარია უკვდავი სული. ვინ არის საშიში ძალა? — მას აქვს კონკრეტული სახელი, იგი დაკავშირებულია იმასთან, რასაც შეიძლება ანტისისტემა ვუწოდოთ, რაც ანადგურებს სულიერებას. ეს ადამიანი დიდ დროში კი არ ცხოვრობს, არამედ ქრონოლოგიურ პროვინციალიზმში. ეს არის ყველაზე საშიში. ადამიანმა უნდა იცხოვროს დიდ დროში. მთავარი ის კი არ არის ვინ არ დროში ცხოვრობდა, არამედ იმ მარადიული კაცობრიობის, ადამიანის განასერი. ქრისტეს თანამედროვე უნდა იყო.

თამარ შველიძე
555 23 28 24

აშშ თეთრი და შავი რადიკალების პირისპირ

წლევანდელი შემოდგომა, პოლიტიკური თვალსაზრისით, იმდენად უხვად იქნება დახუნძლული, ადვილი შესაძლებელია კოვიდ-19-ის პანდემიამ უკანა პლანზე გადაინაცვლოს. პოლიტოლოგების ძირითადი ყურადღება ამერიკის შეერთებული შტატებისკენ არის მიპყრობილი. გასაკვირი არაფერია, რადგან ქვეყანაში არაჯანსაღი პოლიტიკური სიტუაციაა, რომლის შექმნაში იქაურმა პოლიტიკოსებმაც მიიღეს მონაწილეობა, მათ ვინც პრეზიდენტ დონალდ ტრამპს აშკარად ებრძვის. მასობრივი არეულობები აშშ-ი, მართალია ოდნავ შემცირდა, მაგრამ ვითარება კვლავ ფეთქებადსაშიში რჩება. წლევანდელ სიტუაციას ექსპერტები აშშ-ი 1968 წლის მასობრივ გამოსვლებს ადარებენ, რომლის მსგავსი ქვეყანაში აქობამდე აღარ ყოფილა. მაშინაც, არეულობები საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდს დაემთხ-

ვა. არჩევნებში იმ წელს რიჩარდ ნიქსონმა გაიმარჯვა, რომელიც ტრამპის მსგავსად რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელი იყო. არჩევნების შემდეგ გამოსვლები და აქციები ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით გაანეიტრალეს.

კონკრეტულად რას მოიმოქმედებს დონალდ ტრამპი, ძნელია პროგნოზირება. ორი კვირის წინ პანდემიის მომიზეზებით საპრეზიდენტო არჩევნების გადავადება მოითხოვა, რამაც დემოკრატების აღშფოთება გამოიწვია. ტრამპი ასევე წინააღმდეგია არჩევნებში საფოსტო გზავნილებით მონაწილეობისა. საარჩევნო კომისია ამომრჩევლის ფოსტით უგზავნის ბიულეტენს. ამომრჩეველი შემოხაზავს სასურველ კანდიდატს და ასევე ფოსტით აგზავნის საარჩევნო კომისიაში. აღნიშნულ პროცედურას დიდი დრო სჭირდება. ამერიკული პრესის ცნობით 2016 და 2018 წლების არჩევნებში მილიონობით ბიულეტენი დაიკარგა. ამიტომაც ტრამპი არ ენდობა ხმის მიცემის ასეთ პროცედურას. ამის გარდა, მისი აზრით არჩევნების შედეგების გაყალბება გაიოლდება, დემოკრატები სათავისოდ გამოიყენებენო, აცხადებს. დემოკრატები თავის მხრივ საფოსტო გზავნილებით ითხოვენ ჩატარდეს არჩევნები მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ექსპერტების პროგნოზით, წლევანდელი საპრეზიდენტო არჩევნები აშშ-ი ჯერ არნახულად დაძაბული იქნება. არ გამორიცხავენ შეიარაღებულ დაპირისპირებას ამომრჩეველთა შორის. თუმცა, ვნახოთ, პროგნოზები ყოველთვის როდი მართლდება. აღნიშნავენ იმ გარემოებასაც, რომ არჩევნების გადავადების განცხადებით, ტრამპმა ქვეყნის შიგნით მოსინჯა პოლიტიკური ნიადაგი თუ ვინ როგორ მიიღებდა. აქვე აღსანიშნავია, რომ იგივე ექსპერტები. ჯერ კიდევ თებერვალში ვარაუდობდნენ არჩევნების მოსალოდნელ გადავადებას.

ქვეყნის შიგნით დონალდ ტრამპს რთულ პირობებში უხდება მუშაობა. დემოკრატი გუბერნატორები და ქალაქის მერები პრეზიდენტის დავალების შესრულებაზე უარს ამბობენ, თავიანთი შეხედულებებით დამოუკიდებლად მოქმედებას ამჯობინებენ. დონალდ ტრამპი ცდილობს შეძლოს ფე-

დერალურმა კანონებმა იმუშაონ ყველა შტატში. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანა დაზარალდება, ამას პოლიტოლოგები აცხადებენ. ამიტომაც, დონალდ ტრამპმა გადაწყვიტა ფედერალური სასამართლოს მეშვეობით განახორციელოს საქმიანობა (ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულება ყველა უწყებისთვის სავალდებულოა). ამით აღმოფხვრის აშშ-ი არსებულ რამდენიმე ხელისუფლებიანობას, რასაც ახლა რადიკალურად განწყობილი მოქალაქეებიც დაემატნენ.

გრძელდება და ახალ ფაზაში გადავიდა აშშ-ჩინეთის სავაჭრო ომი. „ჰუვავეის" შემდეგ დონალდ ტრამპმა ჩინურ სოციალურ ქსელს „ტიკ-ტოკს" შეუტია. ინტერნეტსაიტს მსოფლიოში 200 მილიონი მომხმარებელი ჰყავს და მის შტაბბინა კალიფორნიაში მდებარეობს. ტრამპმა სოცქსელს ულტიმატუმი წაუყენა — თავიანთი ბიზნესი მიჰყიდონ „მაიკროსფორდს" 45

დღეში, ანდა დატოვონ ქვეყანა. სახელმწიფო მდივნის მაიკ პომპეოს განცხადებით, ჩინური სოცქსელი აგროვებს ინფორმაციას და თავიანთ სპეცსამსახურებს გადასცემსო. მისივე თქმით მოქალაქეთა მონაცემების დაცვა აშშ-ის უსაფრთხოებაა, ამიტომ მიიღეს აღნიშნული გადაწყვეტილება. თუმცა, გავრცელებულმა ინფორმაციამ აშშ-ის მოსახლეობის, სოცქსელის მომხმარებლების უკმაყოფილება გამოიწვია. თავად სოცქსელის დამფუძნებლები უარყოფენ ბრალდებას და აცხადებენ, რომ მსოფლიო გლობალიზაციის ერთგულები რჩებიან. ამიტომ აპირებენ ტრამპის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებას. მათ ვერ ან არ გაითვალისწინეს ერთი გარემოება — სიტყვა „გლობალიზაცია" ტრამპისთვის გამაღიზიანებელია.

„ტიკ-ტოკისთვის" ულტიმატუმის წაყენების შემდეგ ბრიტანეთმა გამოთქვა მზადყოფნა თავიანთ ქვეყანაში განათავსონ სოცქსელის შტაბ-ბინა. ამიტომ მაიკ პომპეო ლონდონში ჩავიდა და შეხვდა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ბორის ჯონსონს. რათა ბრიტანელებმა უარი თქვან ჩინელების მიღებაზე. ამერიკული პრესის ცნობით ჯონსონმა პომპეოს ორაზროვნად უპასუხა და იგი აშშ-ი ფაქტობრივად ხელცარიელი დაბრუნდა. უშედეგო იყო პრეზიდენტის თანაშემწის უსაფრთხოების საკითხებში რობერტ ორბაინის ვიზიტი ევროპის წამყვან ქვეყნებში, რომლებთანაც მოლაპარაკებას აწარმოებდა არ შეეძინათ ჩინური პროდუქცია. თუმცა მისი ვოიაჟიც უშედეგო აღმოჩნდა. სამაგიეროდ გადაწყვეტილია, რომ აშშ-ი გერმანიიდან იქ დისლოცირებული ჯარის ნაწილის, მესამედს გაიყვანს. საუბარია 12 ათას სამხედრო მოსამსახურეზე, ნაწილს აშშ-ი დააბრუნებენ, ხოლო დანარჩენს პოლონეთში, რუმინეთში და ბალტიისპირეთის ქვეყნებში განათავსებენ.

საინტერესო შეფასება გააკეთა ამერიკელმა პოლიტოლოგმა დიმიტრი საიმსმა ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე: ...აშშ-ი დღეს მართლაც რთული ვითარებაა: პანდემიამდე პრეზიდენტმა ტრამპმა შეძლო ქვეყანაში უმუშევრობის შემცირება და ეკონომიკის გაზრდა. სამწუხარო ფაქტია, აშშ პანდემიისთვის მზად არ აღმოჩნდა, კოვიდი საფრთხედ არ მიაჩნდათ. ყოველივე ამან გამოიწვია პოლიტიკური კატაკლიზმები. ტრამპი ახლა ცდილობს ჩიხიდან გამოსვლას. დემოკრატიის თვალსაზრისითაც არასახარბიელო ვითარებაა. აშშ-ი პოლიტოლოგების ნაწილს დემოკრატიის საფრთხედ დონალდ ტრამპი მიაჩნიათ, ნაწილს ჯო ბაიდენი. მომავალ არჩევნებში დონალდ ტრამპს ბრძოლა მოუწევს არამხოლოდ ბაიდენთან, არამედ თეთრ და შავ რადიკალიზმის წინააღმდეგაც. თუმცა ვითარება მისთვის უიმედო არ არის, საინტერესო სვლებს აკეთებს. საერთოდაც, ტრამპმა არჩევნებში იმ დროს გაიმარჯვა, როდესაც რუსეთთან კავშირებს აბრალებდნენ, ახლაც შეძლებს წარმატებას".

გასულ კვირას ბელორუსში საპრეზიდენტო არჩევნებში კვლავ ალექსანდრე ლუკაშენკომ გაიმარჯვა. წინასწარი მონაცემებით მან ამომრჩეველთა ხმების 80%-ზე მეტი მიიღო და მეექვსედ გახდა ქვეყნის მეთაური. შეგახსენებთ, პრეზიდენტის პოსტზე 1994 წლიდან შეუცვლელად არის. თუმცა, მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ არჩევნები ამით არ დასრულებულა და ქვეყანაში მოსალოდნელია ფერადი რევოლუცია.

დანგრეული ლიბანის დედაქალაქი ბეირუთი ახლა საპროტესტო აქციებმა მოიცვა, რომელიც გარეშე ძალების მიერ არის აგორებული. ტრაგედია გასულ კვირას დატრიალდა. ბეირუთის საზღვაო პორტში 3 ათას ტონამდე ამიაკის სილისტრა აფეთქდა, რომელიც სოფლის მეურნეობაში სასუქად გამოიყენება. რა გახდა აფეთქების მიზეზი ახლა იკვლევენ, მაგრამ ნახევარი ქალაქი ნანგრევებშია. დაღუპულია 160-მდე ადამიანი, ათასობით დაშავებული, ათეულობით დაკარგულები.

ქვეყანა სტრატეგიული პროდუქტების ხორბლის და ფქვილის გარეშე დარჩა. დაზარალებულებს დახმარების ხელი მსოფლიოს გაუწოდა. მათ შორის ისრაელმა, ვისთანაც ლიბანი ლამის საომარ მდგომარეობაშია. ისრაელმა გაამზადა საავადმყოფოები დაშავებულთა მისაღებად. ერთ დროს ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანა ამჟამად უცხოელების დახმარების იმედად არის. გაჭირვების ჟამს გარკვეული ძალები ცდილობენ თავიანთ პოლიტიკურ ინტერესების გატარებას. მოსახლეობის უმრავლესობა კი ერთნაირად გლოვობს დაღუპულებს და დანგრეულ ქალაქს.

გია ბურდული
551 71 27 07

ბიძინა ივანიშვილის წისქვილი

— ჩვენი უპირველესი ამოცანაა დავამარცხოთ ბიძინა ივანიშვილი. ეს არის ყველასთვის საერთო მთავარი მიზანი! — აცხადებენ ოპოზიციონერები, თუმცა ამ საერთო მიზნის მიუხედავად, ერთმანეთს მაინც ეჭვის თვალით უყურებენ და ერთმანეთს ბიძინა ივანიშვილთან ფარულ თანამშრომლობაში ადანაშაულებენ.

ამათ თუ დავუჯერებთ, ყველა ბიძინა ივანიშვილს ებრძვის და იმავე დროს ცალცალკე ყველა ბიძინა ივანიშვილის წისქვილზე ასხამს წყალს.

— გიორგი ვაშაძე ბნელ მხარეს გადავიდა. რასაც ვაშაძე აკეთებს, ივანიშვილის წისქვილზე ასხამს წყალს! — აცხადებს მიხეილ სააკაშვილი და ნახტომისთვის ემზადება, რომ კიევიდან გამოქანდეს და პირდაპირ ჰავლაბრის მეტროსთან დაეშვას.

— სააკაშვილი ივანიშვილის თამაშს თამაშობს. მისი გააქტიურება არჩევნების წინ, მისი განცხადება, რომ სულ მალე ჩამოვა და ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ჩაუდგება, ხელს უწყობს „ქართული ოცნების“ გარშემო იმ ძალების კონსოლიდაციას, რომლებისთვისაც მიუღებელია „ნაცმოძრაობის“ დაბრუნება ხელისუფლებაში. ცხადია, სააკაშვილის პიარ-სვლები ბიძინა ივანიშვილის წისქვილზე ასხამს წყალს, — ამტკიცებენ „ანალიტიკოსები“ და „ექსპერტები“, რომლებიც „ევრონაცებიდან“ იღებენ ინსტრუქციებს.

— სწორედ რომ ევრონაცები არიან გარიგებული ბიძინა ივანიშვილთან. ნახეთ, რა ქნეს — ფოთში, ხობსა და სენაკში მაჟორიტარობის კანდიდატად გიგა ბოკერია წამოაყენეს. გიგა ბოკერია, რომელიც ყველაზე მიუღებელი, ყველაზე არარეიტინგული, ყველაზე არაპოპულარული ფიგურაა მთელ ოპოზიციურ სპექტრში. რატომ გააკეთეს ეს? იმიტომ რომ, „ქართული ოცნების“ კანდიდატმა უფრო ადვილად გაიმარჯვოს. ამის შემდეგ კიდევ ვინმეს ეპარება ეჭვი, „ევროპული საქართველო“ ბიძინა ივანიშვილის წისქვილზე რომ ასხამს წყალს? — რიტორიკულ კითხვას სვამენ ვიღაც-ვიღაცები.

— „ნაცებმა“, „ევრონაცებმა“ და „ქართულმა ოცნებამ“ სამივემ ერთად იჩალიჩა, რომ “1%-იანი ბარიერი შემოეღოთ. ვის წისქვილზე ასხამს ეს წყალს? რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილის წისქვილზე!

— ვითომ ოპოზიციური არხის დირექტორი ნიკა გვარამია სისულელეებს რომ ლაპარაკობს ბიძინა ივანიშვილზე და ასევე სისულელეებს რომ ალაპარაკებს „ნაცებს“ და „ევრონაცებს“ სხვადასხვა საკითხებზე, ვის წისქვილზე ასხამს ეს წყალს თუ არა ბიძინა ივანიშვილის წისქვილზე? ხომ ცხადია, რაც უფრო მეტ სულელს გამოიყვანს ეკრანზე ეს თვალთმაქცი ნიკუტა, მით უფრო კარგი „ქართული ოცნებისთვის“ და ბიძინა ივანიშვილისთვის.

— შალვა ნათელაშვილი რომ შალვა ნათელაშვილია და ვითომ ივანიშვილის ყველაზე რადიკალურ ოპონენტად და დაუძინებელ მტრად მოაქვს თავი, იმდენ ფანტასმაგორიულ სიგიჟეს ამბობს, დამფრთხალი ადამიანები ოპოზიციური ბანაკიდან გამორბიან.

მოკლედ, რომ მოვჭრათ, შალვა რომ შალვაა, ისიც ივანიშვილის წისქვილზე ასხამს წყალს.

— 20 ივნისის ამბები ხომ გახსოვთ, „შტურმავიკებმა“ ოთხჯერ რომ მიიტანეს იერიში პარლამენტის შენობაზე, ამ „შტურმავიკებმაც“ თავიანთ პოლიტხელებთან ერთად ბიძინა ივანიშვილის წისქვილზე არ დაასხეს წყალი? ხელისუფლებას საბაბს რომ მისცემ, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის კვალიფიკაცია მისცენ შენს ქმედებებს, უბრალო ამბავი ხომ არ არის?

— ციხიდან გამოსულმა „პოლიტპატიმარმა“ ოქრუაშვილმაც დაადასტურა, რომ აქციის მონაწილეები მიზანმიმართულად ცდილობდნენ წონასწორობიდან გამოეყვანათ პოლიცია, ოქრუაშვილმაც თავისი აღიარებითი ჩვენებით ბიძინა ივანიშვილის წისქვილზე დაასხა წყალი.

მოკლედ რომ მოვჭრათ, ამ ოპოზიციიდან, თვით ამ ოპოზიციის წარმომადგენელთა მტკიცებით, ყველა ოპოზიციონერი ფარულად ბიძინა ივანიშვილის წისქვილზე ასხამს წყალს.

კი, მაგრამ, ისეთი რა წისქვილი აქვს ამ კაცს, რომ ყველანი მის წისქვილზე ასხამენ წყალს?

— ესენი ხელისუფლებაში რომ იყვნენ, მაშინაც ასეთი იდიოტები იყვნენ თუ ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ გამოსულელდნენ და გამოტვინდნენ? — მკითხა ერთმა.

ესენი სულ იდიოტები იყვნენ, დაბადებიდანვე, ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც, უბრალოდ, მაშინ ასე მწარედ არ ემჩნეოდათ უტვინობა. ხომ გაგიგონიათ რუსული ანდაზა: „სილა ესტ, უმა ნი ნადა“ ჰოდა, „სილა“ ანუ ძალაუფლება როცა ჰქონდათ, მათ უჭკუობას და გონებაჩლუნგობას ეს ფარავდა. ახლა, ძალაუფლება რომ არა აქვთ, უცებ გაშიშვლდნენ და გაიშიფრნენ.

კოალიციური მთავრობა უნდა შევქმნათო, რომ გაიძახიან, როგორ შეიძლება ამათ კოალიციური მთავრობა შექმნან — ხომ დაჭამეს ერთმანეთი.

კი, ბატონო, დაჭამონ და დაგლიჯონ ერთმანეთი, მაგრამ ქვეყანას რომ დაანგრევენ და გააუბედურებენ, ქვეყანას რომ შეიწირავენ ეს კაციჭამია ვირთხები, ამას რა ვუყოთ?

სადაც სამართალია, არჩევნებში კი არ უნდა მონაწილეობდნენ და პარლამენტარობაზე კი არ უნდა ჰქონდეთ პრეტენზია ამ არამზადებს, საბრალდებო სკამებზე უნდა ისხდნენ და ქართველ ხალხს პასუხს უნდა სცემდნენ იმ უამრავ შემზარავ დანაშაულზე, რაც მათ საქართველოს წინაშე აქვთ ჩადენილი.

გული მიგრძნობს, ეს დროც მალე დადგება, რადგან არ შეიძლება, გამორიცხულია, შეუძლებელია საბოლოო ჯამში სიმართლემ და სამართალმა არ იზეიმოს.

მანამდე კი ასხან წყალი ბიძინა ივანიშვილის წისქვილზე ამ ენთუზიასტმა პოლიტმეთულუხჩეებმა, პარალელურად კი, ბოდიში მომითხოვია და რამდენიც უნდათ იმდენი აფსან ერთმანეთს თავზე.

ვახტანგ ხარჩილავა

გლახაკთა და აფრაკთა შესახებ

თამარ ჩერგოლეიშვილი: „გადამწყვეტ ბრძოლას იგებს არა საყვარელი და ფუმფულა, არამედ ის, ვისაც ყვ...ბი და ენერგია აქვს“

ჰაიმეეეეე!!!

საპარლამენტო არჩევნებამდე თითქმის ორთვენახევარია დარჩენილი და უკვე ისეთი ამბები ხდება, უკვე ისეთ რაღაცებს ლაპარაკობენ, ნორმალურ ადამიანს მხოლოდ ბალანი კი არ აგეშლება, დაგბურძგლავს კიდევაცა.

გინდათ, მაგარი ანეკდოტი გითხრათ? ნაღდად არ მეზარება... ესე იგი, დავით ბაქრაძე, გიგი უგულავა, გიგა ბოკერია და სხვები (მათნაირები) სხედან თავიანთ ოფისში. ბოკერია იძახის, მოდით, ამ არჩევნებზე ისეთი რამე გავაკეთოთ, მთელი საქართველო დავაყ...ევოთო. ბაქრაძე იცინის, ეგეთი

არაფერი მახსენდებაო. ხათუნა გოგორიშვილის კანდიდატურა დავაყენოთ ოზურგეთ-ლანჩხუთ-ჩოხატაურში, ხალხი დაიხოცება სიცილითო. აუუუ, მაგარი იდეაა, თუ ეგრეა, მაშინ ქვეყანა ბოლომდე დავაყ...ევოთ, ზურაბ ჭიაბერაშვილი გავუშვათ თელავ-ახმეტა-ყვარელ-ლაგოდეხშიო, ახითხითდა უგულავა. მაგი დედაც ვატირეთ, სადაც წვრილია, იქ გაწყდეს, მოდით, სიტუაცია ავრიოთ, ირმა ნადირშვილი რუსთავში გავუშვათ, ოთო კახიძე ქუთაისში, სერგო რატიანი კიდე საჩხერე-ჭიათურა-ხარაგაულშიო, ვეღარ გააჩერეს ბაქრაძე. გიგი წერეთელი წამოდგა, გინდათ, მაგრად გაცინოთო? ჰო, გვინდაო, უთხრა აკაკი ბობოხიძემ. ჰოდა, თუ გინდათ, მე წავალ ზესტაფონ-ბაღდათ-თერჯოლა-ტყიბულში, ხოლო ბობოხიძე წავიდეს სამტრედია-წყალტუბო-ვან-ხონშიო. უგულავამ თქვა, ეგ რა არი, მე წავალ ზუგდიდში, ძაან მაგარი სეირი იქნებაო, ბოკერია გავუშვათ ფოთ-ხობ-სენაკში, აყირავდება მთელი საქართველოო.

ჰა, ჰა, ჰა!!!

თქვენი დედები ვატირე, აღარ შემიძლია, მოვკვდი სიცილით, ბალანი ისევ ყალყზე მიდგას...

აი, ხათ(ქ)უნა გოგორიშვილზე მაგრად ვიხალისე. ეგ რო გამოგოგმანდება თავისი ბეგრაუნდით ოზურგეთ-ლანჩხუთ-ჩოხატაურის მაგისტრალზე, მაგისი ხილვა ეღირება ერთ რამედ. არა, სხვა ბებერი ჯორებიც საინტერესონი იქნებიან, მაგრამ ეს უფრო მაგარი ეგზემპლარია.

ვაჰმეეე!!!

ესენი... აი, ესენი თავიანთ პარტიას „ევროპულ საქართველოს“ ეძახიან.

ხალხო!!!

თუ გინდათ, მომკალით, ჩამქოლეთ, სიცოცხლისთვის საშიში დაზიანებები მომაყენეთ, სამშობლოდანაც გამაძევეთ, ხათ(ქ)უნა გოგორიშვილსა და კაკოიე ბობოხიძეს პროევროპიელებად ვერ აღვიქვამ. განა სხვებს კი აღვიქვამ? არა, მაგრამ ესენი ნამეტანი გოიმბაშოები არიან.

კიდევ ერთი სასაცილო ამბავი უნდა შეგატყობინო თ. დარწმუნებული ვარ, ეგრევე აგეშლებათ ბალანი და ვისაც ბალანი არ გაქვთ, აუცილებლად დაგბურძგლავთ. მას შემდეგ, რაც კრამიტდაცურებულმა გიგა ბოკერიამ ფოთ-ხობ-სენაკში კენჭისყრა გადაწყვიტა, მისი კნეინა (თამარა ჩერგოლეიშვილი) ეგრევე მოაჯდა ცოცხსა და გააჭენა. არა, კაცო, რა ცხენსა, ცოცხსა-მეთქი, ცოცხსა!!!

ნახეთ, რას წერს შემოჯდომის შემდეგ:

„დიახ, გველეშაპს, რომელიც 2020 წლის არჩევნებში უნდა დავამარცხოთ, ორი თავი აქვს: ბიძინა და მიშა. სამ თვეში არჩევნებია. ეყოლება თუ არა ამ არჩევნებს თავისი წმინდა გიორგი და დააყრევინებს თუ არა თავებს გველეშაპს, ზუსტად არ ვიცით. რაც ზუსტად ვიცით, ისაა, რომ ორივე მონსტრს, ივანიშვილსაც და სააკაშვილსაც, მათი სურვილის წინააღმდეგ, დიდწილად იმ სისტემაში უწევთ თამაში, რომლის წესებიც ქართულმა საზოგადოებამ, ოპოზიციის გონიერმა ნაწილმა, და დასავლეთმა განუსაზღვრა“.

გველეშაპს ორი თავი აქვს – ბიძინა და მიშა. გიგა ბოკერია ანუ გიორგი – წმინდაა, ის აუცილებლად დააყრევინებს ამ გველეშაპს თავებს. თუმცა ზუსტად არ ვიცით, ის შეძლებს თუ არა ამას. ყოველ შემთხვევაში, უნდა სცადოს, რადგან მამული განსაცდელშია.

მმმუუუააჰაჰაჰა!!!

გედვირიე, ხალხო, ბალანი ყალყზე დამიდგა!

როგორცა ჰხედამთ, ამათ, ამ კრეტინებს ჩვეულებრივ ადამიანებად ყოფნა არ შეუძლიათ, ან წმინდა გიორგები უნდა იყვნენ, ან დავით აღმაშენებლები, ან კიდევ ნესტან-დარეჯნები. არადა, ვიცით, სინამდვილეში ვინც არიან – სირთაოზნი, ყვერთაოზნი, აფრაკნი, ეშმაკნი, გლახაკნი, შაშანი და კოლანი!

ეს ცოცხზე გადამჯდარი დედაკაცი არ ჩერდება, სწერამს და სწერამს ათას სისულელეს:

„რამდენი არჩევნები უნდა ჩატარდეს, რომ მივხვდეთ – გადამწყვეტ ბრძოლას იგებს არა საყვარელი და ფუმფულა, არამედ ის, ვისაც ყვერები და ენერგია აქვს და ხალხს არწმუნებს, რომ მას ხალხისთვის სასიკეთო ცვლილების გამოწვევა და შედეგის დადება შეუძლია“.

ჰმ... ყვერებიო, ბრძოლას იგებს არა ფუმფულა ადამიანი, არამედ ის, ვისაც მაგარი ყვერები აქვსო. ჰოდა, ეხლა გამაგრდით, ჩემ გიგას ძაან ყვერები აქვსო. თუმცა მერჩივნა, ფუმფულა ყვერები ჰქონოდა და არჩევნები ისე მოეგოო.

ჰა, ჰა, ჰა, არ დაიჯერებთ, მაგრამ მაინც დაგბურძგლავთ!!!

„ყველაფერჩიკი“ გია ხუხაშვილი, რომელიც ერთ დროს ბიძინა ივანიშვილის მუხლებთან იყო წამოკოტრიალებული, ასეთ რაღაცას იძახის:

„გარკვეულ პატივისცემას იწვევს გიგა ბოკერიას გამბედაობა, როდესაც ასეთი მაღალი ანტირეიტინგით შედიხარ მაჟორიტარულ ბრძოლაში”.

იცით, „ხუხას“ დავთრებისა და ლავუაზიეს კანონის თანახმად ეს რას ნიშნავს? მართალიაო, გიგა ბოკერიას არარეიტინგული ყვერები აქვს, მაგრამ მაინც პატივისცემას იმსახურებსო. აბა, როგორ გინდათო? როცა კაცი ეგეთი არასიმპატიური ყვერებით მაჟორიტარულ ბრძოლაში შედის, ჩვენ ვალდებულნი ვართ, მას პატივი მივაგოთო.

ვაჰმეეე!

ტვინგადაბრუნებული ადამიანი მინახავს, რამდენიც გინდათ, მაგრამ ეგეთი და ამნაირი? არასოდეს, ფაქტობრივად პირველად ვხედავ. თანაც არა მხოლოდ ერთს („ხუხას“), არამედ მრავალს, ბევრს, უამრავს!

ესე იგი... გიგი წერეთელი გამოდის ტრიბუნაზე, გვერდით უდგანან ხათ(ქ)უნა გოგორიშვილი, ბაჩუკი ქარდავა, შალვა შავგულიძე, გიგა ბოკერია, გიგი უგულავა, ოთო კახიძე და სხვა „მწნილები“... ჰოდა, ეს წერეთელი იძახის:

„ეხლა, ამ წუთას, როცა მე ვარ წარდგენილი მაჟორიტარობის კანდიდატად, ჩემი ამოცანაა, რომ ეს იგრძნონ ზესტაფონში, თერჯოლაში, იგრძნონ ტყიბულში, იგრძნონ ბაღდათში, იგრძნოს ყველა ოჯახმა“!

რასაკვირველია, ეგრევე გადავრეკე ზესტაფონში, ხალხო, გიგი წერეთელი მაჟორიტარობის კანდიდატი როა, რამე იგრძენით-მეთქი? მიპასუხეს, მაიცა, რა�ა და... გამითიშეს. თერჯოლიდან მითხრეს, რას გვეღადავებიო? ტყიბულიდან მიმტკიცებენ, ვიგრძენითო, დილით შახტაში რო ჩავედით, ზემოდან წუნწკლები მოდიოდაო. რაც შეეხება ბაღდათს, ამ დრომდე ვერ ვუკავშირდები, ხვალ-ზეგ სადგურ „ოკრიბაში“ გავალ, ვინმე ჩამოა და ვკითხავ, იგრძნეს თუ არა... თუ იგრძნეს, საინტერესოა, დაჰბურძგლა ვინმეს თუ არა.

ერთი კიდე რა გამახსენდა... გიგი წერეთელს, რომელსაც წესით, პარლამენტში ჯდომით საჯდომზე ძირმაგარა უნდა ჰქონდეს (ბუასილი მაინც), გვერდში ედგა ისა... აი, ისა, ირაკლი ალასანიას პარტიაში რო იყო, ბიძინას ხათრით დეპუტატიც რო გახდა... ნინო გოგუაძე. ჰოდა, დასჩხავლა ამ გოგუაძემ ტრიბუნიდან ყვავივით მთელ საქართველოს, თუ ადამიანი ერთადერთია, ის ერთია და ამ ერთადერთობით მიბმულია დასავლურ დემოკრატიაზეო. დიახაც, სწორედ ამიტომაც უნდა ავირჩიოთ “ევროპული საქართველოო”.

ჰაიმეეე!!!

აქაც ამეშალა ბალანი, სუ ყალყზე დამიდგა!

ისე, რაღა დაგიმალოთ და... მე მგონი, ძაან ჭკვიანობა თქვა ამ ყვავმა... უკაცრავად, ამ ქალმა... ესე იგიო, თუ ადამიანი ერთადერთია, ის ერთია და ამ ერთადერთობით მიბმულია დემოკრატიაზე. თუ ჰეგელი, კანტი, მარქსი და ჩერგო არ გაქვთ წაკითხული, ამას ვერ გაიგებთ,

მაგრამ როცა გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმება. გასაგებად აგიხსენით, ხო?

ფილოსოფოსებზე გამახსენდა... ამ დღეებში „ბრძნული" გამონათქვამებით ჩვენმა სახალხო დამცველმა ნინო ლომჯარიამაც გამოიჩინა თავი. ამ ქალზე დიდი წარმოდგენა არასდროს მქონია, მაგრამ ეგეთი შტერი თუ იყო, არ ვიცოდი. სწორედ ამაზეა ნათქვამი, სადაც არა მჭამს, იქა მფხანსო:

„ახალი კორონა ვირუსით გამოწვეული პანდემია ნეგატიურ გავლენას ახდენს გენდერულ თანასწორობაზე. საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მომატებულია გენდერული ნიშნით ძალადობის რისკები, გართულდა მისაწვდომობა ქალთა ჯანმრთელობის

სერვისებზე, შემოსავლებზე და საარსებო წყაროზე, განათლებაზე, სუფთა წყალსა და საკვებზე".

მმმუუუაჰაჰაჰა!!!

დამბურძგლა პირდაპირ!

თურმე პანდემია უარყოფით გავლენას ახდენს გენდერულ თანასწორობაზე, მომატებულია ძალადობის რისკები გენდერული ნიშნით და რაც მთავარია, გართულდა მისაწვდომობა ქალთა ჯანმრთელობის სერვისებზე, სუფთა წყალსა და საკვებზე.

კაი, ამდენ სისულელეს სულელი თუ დაწერს და იტყვის, მაგრამ ეს „მისაწვდომობა" რაღა უბედურებაა?

ილია ჭავჭავაძე ცოცხალი რომ იყოს, დარწმუნებული ვარ, თავს მოიკლავდა. ახლა კი, ალბათ, საფლავში ტრიალებს!

და ბოლოს!!!

არ დაიჯერებთ... თუმცა რატომ არ უნდა დაიჯეროთ? მეთუთუნე ავთო (ჭუტა) წერეთლის ე.წ. ტელევიზია (ტვ „პირველი") მიხეილ სააკაშვილს პრემიერ-მინისტრობას სთავაზობს. ჭუტას წამყვანი ეუბნება სააკაშვილს, პრემიერობა რომ შემოგთავაზონ, რას იტყვითო? იმან თავი შორს დაიჭირა, ხალხო, რა დროს თანამდებობებია, ვერ ხედავთ, ქვეყანა თავზე გვენგრევაო? ვითომ არ ესიამოვნა



მიხოსა, ვითომ არ მოედო გულზე ტყემლის საწებელასავითა.

თუმცა!!!

ჭუტას ე.წ. ჟურნალისტს იოტისოდენი განათლება მაინც რომ ჰქონდეს, სააკაშვილს ასეთ შეკითხვას არ დაუსვამდა და არც პრემიერობას შესთავაზებდა, რადგან, საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის მე-2 თავის თანახმად: „საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის ან პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა არ შეიძლება ეკავოს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც იმავდროულად სხვა სახელმწიფოს მოქალაქეა".

ეს კიდე, ეს საცოდავი, მხოლოდ უკრაინის, ანუ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეა და ამიტომაც ვერც კი იოცნებებს.

თუმცა!!!

თქვენ მეტყვით, მოვა ხელისუფლებაში ხათ(ქ)უნა გოგორიშვილი ნიკოლოზ

მაჭუტაძესთან ერთად და კონსტიტუციასაც შეცვლის, რა პრობლემააო?

ვაჰმეეე!!!

იქამდე მაგათ არ აუდგეთ ძირმაგარებიანი გვერდები!

აი, დამბურძგლა ისევ!

მადლობა ყურადღებისთვის.

გელა ზედელაშვილი

555 48 48 61

ადამიანურობის გაკვეთილი

ამ სისასტიკით, ულმობლობით, დაუნდობლობით, აგრესიით გაჟღენთილ დროში არაფერი ისე არ მახარებს და არ მაბედნიერებს, როგორც ადამიანურობის, მაღალი ზნეობის, კეთილშობილების გამოვლენა.

ბნელ ღამეში სინათლის უეცარ გამონათებას ჰგავს ყოველი ასეთი ფაქტი.

ამასწინათ ძალიან ცუდი ამბავი მოხდა — ზურაბ ჟვანიას შვილმა გოგი თოფაძის შვილიშვილი დაჭრა.

საბედნიეროდ, ლევან თოფაძე გადარჩა, ბუსა ჟვანია კი ციხეშია.

საზოგადოება, ცხადია, შეძრა ამ ტრაგიკულმა ამბავმა, მაგრამ კიდევ უფრო სულისშემძვრელი აღმოჩნდა ის განცხადება, რაც ზურაბ ჟვანიას ქვრივმა, ქალბატონმა ნინო ქადაგიძემ გააკეთა.

განცხადებაო, კი ვთქვით, მაგრამ გან-

ცხადება კი არა, ეს იყო უდიდესი წუხილი, ტკივილი და სინანული მომხდარის გამო.

მას არ დაუწყია საკუთარი შვილის გამართლება. მან, უბრალოდ, ბოდიში მოუხადა ოჯახს, პატიება ითხოვა და ბოლოს საოცარი გულწრფელობით თქვა: მერჩივნა, მე დამმართნოდა ესო.

ამას რომ ამბობდა, ის იყო აბსოლუტურად გულწრფელი, აბსოლუტურად მართალი, დარდისაგან გაქვავებული და გახევებული, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ღირსეული და შინაგანად ძლიერი.

ამ ქალბატონისადმი ყოველთვის პატივისცემით ვიყავი განმსჭვალული. მის მიმართ ეს გრძნობა კიდევ უფრო გამძაფრდა, როცა ვნახე, როგორ ღირსეულად შეხვდა ეს ახალგაზრდა ქალი თავს დამტყდარ დიდ ტრაგედიას და როგორი თავდადებით და სტოიციზმით ზიდა ჭირისუფლის უმძიმესი ტვირთი.

14 წელი გავიდა ამ ტრაგედიის შემდეგ, მაგრამ არავის ახსოვს ნინო ქადაგიძეს ამ ხნის განმავლობაში ვინმეს მისამართით ერთი უკმეხი სიტყვა ეთქვას, ვინმე რამეში დადანაშაულებინოს, ვინმესკენ თითი გაეშვიროს.

და, აი, ახლაც, თავს დამტყდარი ახალი განსაცდელით შეძრული და შეძრწუნებული იდგა იგი ჟურნალისტების წინ, ბოდიშს უხდიდა თოფაძეების ოჯახს და დარდისაგან გაქვავებული თითქოს თავისთვის ამბობდა: მერჩივნა, მე დამმართნოდა ეს ამბავიო.

ამ სიტყვების შემდეგ მალევე საზოგადოებამ გოგი თოფაძის საპასუხო რეპლიკა მოისმინა.

თუ აქამდე ბატონი გოგი ძალიან გაბრაზებული და განრისხებული ჩანდა, ქადაგიძის ამ სიტყვების შემდეგ უცებ მოლბა, თვალებში სითბო და თანაგრძნობა ჩაუდგა და რაღაცნაირად შეწუხებულმა თქვა: მე ამ ქალბატონს რითაც შემიძლია დავეხმარებიო, რაც იმას ნიშნავს, რომ თოფაძეები ბუსა ჟვანიას კანონის მთელი სიმკაცრით დასჯას არ მოითხოვენ, თუმცა მათ ამის სრული საფუძველი აქვთ...

ბატონ გოგის არ უთქვამს დამნაშავე შევიწყალოთ და შევიბრალოთო, მან თქვა, ამ ქალბატონს დავეხმარებიო, რითაც პირველ ყოვლისა, ქალბატონი ნინო ქადაგიძის, ამ მართლაც საპატივცემულო მანდილოსნის, დედის, დიდი ტრაგედიის გადამტანი ადამიანის მიმართ გამოხატა თანაგრძნობა და თანადგომა. არ იკადრა, რომ განსაცდელში ჩავარდნილი ქალბატონისთვის ახალი ტვირთი დაემატებინა.

ბატონ გოგის დიდი ხანია ვიცნობ, ძალიან დიდ პატივს ვცემ და ძალიან მიყვარს. მას ბევრი კარგი საქმე აქვს

გაკეთებული საქართველოსთვის, მაგრამ მისი ეს ბოლო ნაბიჯი, ვაჟკაცობის, კეთილშობილების, დიდსულოვნების ეს მაგალითი, ვფიქრობ, იმ დიდ საქმეებზე არანაკლებ მნიშვნელოვანია.

ამ სევდიანმა ისტორიამ „ლექსი ვეფხვისა და მოყმისა" გამახსენა და კიდევ ერთხელ დამაფიქრა იმაზე, რომ არ არსებობს ადამიანურობაზე უფრო მაღალი და უფრო მნიშვნელოვანი ფასეულობა.

ამ ამბავმა აწ უკვე მივიწყებული და აბუჩად აგდებული ის ქართული ღირებულებები, ადამიანთა შორის ურთიერთობის ის დაუწერელი კანონებიც გამახსენა, რომელზეც იდგა საქართველო და ქართული მენტალობა — ყველასგან გამორჩეული, ყველასგან განსხვავებული, უაღრესად კაცთმოყვარული, ჰუმანური და სამართლიანი.

ღირსეულმა ქართველმა მანდილოსანმა, ნინო ქადაგიძემ და ღირსეულმა ქართველმა კაცმა, გოგი თოფაძემ, კიდევ ერთხელ გაგვახსენეს, თუ როგორ იქცევიან ქართველები განსაცდელისა და გაჭირვების ჟამს.

მადლობა მათ ამ დიდებული გაკვეთილისთვის.

ვახტანგ ხარჩილავა

კაცი მომავლიდან

სტუ-ს საპატიო დოქტორ გოგი კვარაცხელიას სამედიცინო მოწყობილობა თანამედროვე მსოფლიოს კარდიოვასკულარული ქირურგიის ავანგარდში

საქართველო რომ ნიჭიერ ადამიანთა საბადოა, ამაზე უკვე აღარავინ დაობს.

ახლახან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის ***გოგი კვარცხელიას*** *სამედიცინო მოწყობილება თანამედროვე მსოფლიოში კარდიოვასკულარული ქირურგიის სიახლედ აღიარეს.*

საუბარია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაღალი სიზუსტის მექატრონული ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო-სამეცნიერო კვლევითი ცენტრის პროექტზე, ინოვაციურ სამედიცინო აღჭურვილობაზე, რომელსაც ფუნქციური დანიშნულებით დღევანდელ მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნია.

ბატონმა გოგი კვარაცხელიამ მოახერხა და ადგილობრივი რესურსებით დაამზადა სამედიცინო მოწყობილობის სადემონსტრაციო საცდელი ნიმუში, მოწყობილობა, რომელიც „ვაიერის“ (ლითონის მავთულის) გარეშე სინქრონულად მუშაობს სხვადასხვა დიამეტრის მქონე სისხლძარღვთა სისტემაში.

განმარტებებისთვის თავად ***გოგი კვარაცხელიას*** *მივმართეთ, რომელიც გახლავთ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომების ვეტერანი, ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენის კავალერი, ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი და სტუ-ს მაღალი სიზუსტის მექატრონული ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის უფროსი.*

— ბატონო გოგი, რას გვეტყვით ამ ახალი მოწყობილობის შესახებ? ვფიქრობ, ეს გამოგონება გადატრიალების ტოლფასია მედიცინაში. ამ ხელსაწყოს საშუალებით, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებთან ბრძოლა, ადამიანის გონების გამარჯვებით მთავრდება?

— ეს სამედიცინო მოწყობილობა დღეს არსებული ანალოგებისაგან ორი უმნიშვნელოვანესი მახასიათებლით განსხვავდება: პირველი — მას არ სჭირდება მიმმართველი „ვაიერი“ (ლითონის მავთული) კონსტრუირებისა და ფუნქციონირებისას, რაც მრავალ სირთულეს ანეიტრალებს, როგორც პაციენტისათვის, ასევე კარდიო-ქირურგისათვის და მეორე, ჩვენი კონსტრუქციის ათეროთრომბექტომიის სამედიცინო მოწყობილობა მუშაობს სხვადასხვა დიამეტრის მქონე სისხლ-ძარღვთა სანათურში, რაც მართლაც ახალი სიტყვაა თანამედროვე კარდიოვასკულარულ სამედიცინო ტექნოლოგიაში.

— მოწყობილობა, ალბათ, დააპატენტეთ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

— დიახ, ამ ახალი ტიპის სამედიცინო მოწყობილობის კონსტრუქციული თავისებურებები, როგორც ინტელექტუალური საკუთრება, რეგისტრირებულია. ირლანდიელ პარტნიორებთან გავაფორმეთ ე.წ. „გაუთქმელობის“ ხელშეკრულება.

ამ საქმეში დიდი დახმარება და შუამდგომლობა გაგვიწია პროექტის თანაავტორმა, ჩაფიძის კლინიკა „გულის“ სამედიცინო დირექტორმა პროფესორმა **ზაზა ლაზარაშვილმა.**

მოგეხსენებათ, ყველაფერი თანხებთან არის დაკავშირებული. ამიტომაც მივმართეთ საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“. ვიმედოვნებთ, რომ მივიღებთ დახმარებას, რაც ქართული მედიცინის ურთულესი რგოლის — კარდიოვასკულარული ქირურგიის განვითარებაში შეტანილი უდიდესი წვლილი იქნება ამ კეთილშობილური ფონდისგან“.

●

ბატონი გოგი კვარაცხელიას სამუშაო კაბინეტი, კედლები და მაგიდები გადატვირთულია მის მიერ

შექმნილი მოდელებით, ექსპონატებითა და ესკიზური ნახაზებით.

იქვე ერთ კუთხეში უცბად მოკრავთ თვალს, ძველ გაცრეცილ გაზეთებს, იქვე ნახავთ 1995 წლის გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ გამოქვეყნებულ საკმაოდ თამამ განცხადებას: „არავითარი საწვავი, არავითარი ფრთები, არავითარი რეაქტიული ძრავები, მხოლოდ და მხოლოდ მრგვალი მბრუნავი სხეულები და ელექტრომაგნიტური ძრავები“.

როგორც ჩანს, ამ კაცს თანამედროვე ტექნიკურ მეცნიერებაში, განსაკუთრებით, ფიზიკაში, თავისი სიტყვა ძალიან ადრეულ ასაკში უთქვამს. თავად მოგვიყვა: ოცდახუთი წლისამ მივაგენი თეორიას კლასიკურ მექანიკაში, კერძოდ, აეროდინამიკაში, რომელიც შემდეგ კანონის სახით ჩამოვაყალიბეო.

„სიჩქარე, სიჩქარე და ისევ სიჩქარე — გონით!“ — ეს მისი სიტყვებია. დიახ, გონივრულად გვმართებს აჩქარება, რომ მისი გამოგონებები დღის სინათლეზე გავიდეს და დროულად მიენიჭოს მსოფლიო აღიარება.

სანამ მის უახლეს გამოგონებაზე საუბარს დავიწყებდით, ვკითხე: საქართველოში რომ არ დაბადებულიყავით და ისეთი ქვეყნის მოქალაქე ყოფილიყავით, სადაც მეცნიერებს ხელისგულზე ატარებენ, ალბათ, ნაკლები პრობლემები გექნებოდათ-მეთქი? კითხვა შემაწყვეტინა: „ამაზე ერთი წუთითაც არ მიფიქრია ქართველი ხალხის სიყვარულის და მათი დაუღალავი გულშემატკივრობის გამო. მათი შეგულიანება მაძლევს იმედს და მიბრუნებს საკუთარი თავის რწმენას, არ დავნებდე და მუხლჩაუხრელად ვიშრომო ახალი აღმოჩენების გასაკეთებლადო…

●

იმის გასარკვევად, რამდენად პერსპექტიული და პრაქტიკულია გოგი კვარაცხელიას გამოგონებები, იხილეთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყოფილი რექტორის, აკადემიკოს ***არჩილ ფრანგიშვილის*** *კომენტარი.*

არჩილ ფრანგიშვილი: „გოგი კვარაცხელია ჩვენი უნივერსიტეტის მაღალი სიზუსტის მექატრონული ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორია.

ჩემი მხრიდან უმაღლეს შეფასებას იმსახურებს ბატონი გოგის გამოგონებები. ძალიან საინტერესო გამოგონებები აქვს. მოგეხსენებათ, ნებისმიერ „ნოუჰაუს“ სჭირდება რეალიზება და ის ამას წარმატებით ახორციელებს. ყველა მისი იდეა არის განხორციელებადი. კონკურენტუნარიანია ყველაფერი, რასაც ქმნის. მის თითოეულ გამოგონებას საერთაშორისო ბაზარზე სერიოზული გამოხმაურება ექნება.

ჩვენ ახლა ერთობლივად ვმუშაობთ ინგლისელებთან, ირლანდიელებთან და გერმანელებთან, რომ მისი გამოგონებები პრაქტიკაში დავნერგოთ.

გოგი კვარაცხელიას გამოგონებების მთავარი არსი სწორედ იმაშია, რომ გამოგონებებს პრაქტიკული გამოყენება ექნება. მაგალითად, ერთ-ერთი მისი გამოგონება არის სრულიად ახალი ტიპის ხელსაწყო, გულსისხლძარღვთა ათეროტრომბოექტომიის სამედიცინო მოწყობილობა, რომლითაც შეიძლება სისხლძარღვთა აბსოლუტური გაწმენდა მავნე დანალექებისაგან. ეს არის თანამედროვე, უმაღლესი ხარისხის ტექნოლოგია. ამ საკითხზე ვმუშაობთ ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებთან და ვფიქრობთ, ნოვაცია მალე დაინერგება. მას ასევე სერიოზული გამოგონებები და პრაქტიკულად რეალიზებული აქვს დრონის ტიპის აპარატების ახალი ტექნოლოგიები.

ახლა უკვე სამრეწველო ნიმუშების წარმოებაზე უნდა ვიფიქროთ და ვიზრუნოთ.

გოგი კვარაცხელიას თამამად შეუძლია თავისი გამოგონებებით ხმამაღალი სიტყვა თქვას მეცნიერებაში. ძალიან დიდ იმედებს ვამყარებთ მის გამოგონებებზე“.

სტუ-ს საიტზე განთავსებულ ერთ-ერთ ინტერვიუში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **დავით გურგენიძე** აღნიშნავს: „ტექნიკური უნივერსიტეტის მაღალი სიზუსტის მექატრონული ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო-სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის, დოქტორი გოგი კვარაცხელიას გამოგონებას — ახალი ტიპის კარდიოვასკულარული ათეროთრომბოექტომიის სამედიცინო მოწყობილობას, მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნია“.

გოგი კვარაცხელია: ახლადარჩეული სტუ-ს რექტორს, პროფესორ დავით გურგენიძეს დიდი ხნის სტაჟი და გამოცდილება აქვს სტუ-ში მუშაობის და ის არა მარტო ჩემს პროექტებს უჭერს მხარს, არამედ სტუ-ს ყველა ინოვაციურად წარმატებულ პროექტს განიხილავს და მხარს უჭერს, რაც, ჩემი აზრით, იქნება სტუ-ს ტექნოლოგიურად განვითარების მომავლის საზომი ერთეული.

●

საინტერესოა, ბატონ გოგი კვარაცხელიას უახლესი გამოგონება „უკონტაქტო მაგნიტურ საკისრებზე“ და „უკონტაქტო მაგნიტურ სახსრებზე“.

მოგეხსენებათ, ტექნიკაში ფართოდაა გავრცელებული უკონტაქტო მაგნიტური საკისრები. ცნობილია, რომ მაგნიტური საკისარი წარმოადგენს საკისრებისნაირსახეობას, რომლებშიც მოძრავი ნაწილის დაჭერა ხორციელდება ფიზიკური კონტაქტის გარეშე, მაგნიტური ლევიტალის მეშვეობით. როგორც ცნობილია, მსოფლიოში მაგნიტური საკისარის არაერთი პატენტი არსებობს და დღემდე უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს მისი დახვეწა და პრაქტიკაში გამოყენება-დანერგვა.

გოგი კვარაცხელია: ჩემი კონცეფციის თანახმად, მაგნიტური საკისარი შედგება ტოროიდის ფორმის კორპუსისაგან, სადაც თვით კორპუსი შედგება ორი ერთმანეთთან გასართად მიერთებული ნაწილისაგან, იმგვარად, რომ, მათ შორის, უზრუნველყოფილია გარკვეული სიდიდის ღრეჩო. კორპუსის ნაწილების შეერთების ზონაში განლაგებულია მამჭიდროვებელი ელემენტი ხსენე-

ბული ღრეჩოს ეკრანირებისათვის. გარდა ზემოაღნიშნულისა, კორპუსის თითოეულ ნაწილში შესრულებულია ერთმანეთის მიმართ სიმეტრიული ამონაღები. კორპუსში, კერძოდ, ხსენებული კორპუსის ნაწილებს შორის, ღრეჩოში, განლაგებულია დისკოს ფორმის მოძრავი ელემენტი პერიფერიაზე შესრულებული გამონაშვრებით, რომლებიც, თავის მხრივ, ღრეჩოთი თავსდება ნახსენებ წრიულ ამონაღებში. დისკოს ცენტრალურ ნაწილში შესრულებულია ნახვრეტი, რომელიც ფორმირებულია ხსენებული ნახვრეტის ღერძის გასწვრივ დისკოდან ორივე მხარეს გამავალი მილყელებით, ხსენებულ მილყელებში კი გატარებულია არამაგნიტური

თანაბარი წონის, მრგვალი, ბრტყელი ან ბადროს ფორმის მბრუნავი სხეულის სიჩქარე ტოლი ძალების მოქმედებით, ყოველთვის მეტია ნებისმიერი კონუსური ფორმის მბრუნავი სხეულის სიჩქარეზე და შესაბამისად ნაკლებია ხახუნისა და გრავიტაციის ძალთა კოეფიციენტი.

$$= F \cdot \overset{+}{\underset{g^{-1}}{M}} V > \overset{\Delta}{\underset{g^{-1}}{M}} V \approx <_{G}^{Q} FK$$

1977 წელი
გრიგორი (გოგი) კვარაცხელია

მასალისაგან დამზადებული ლილვი.

ჩემი აზრით, ჩემი საკისარის ასეთი კონსტრუქციული შესრულების ფორმა უზრუნველყოფს ზემოთ მოყვანილი ნაკლოვანებების აღმოფხვრას, რადგან მასში, შესაძლოა, გამოყენებული იქნას მუდმივი მაგნიტები, როგორც რადიალური, ისე ღერძული დამაგნიტებით. საკისრის კონსტრუქციული ფორმა უზრუნველყოფს მაგნიტური ველების ეკრანირებას (მათ შორის, მამჭიდროვებელი ელემენტის თუ კორპუსის ნაწილების სპეციფიკური შესრულების ხარჯზე), და ამგვარად, მაგნიტის მოცულობის ერთეულზე მაგნიტური ენერგიის ეფექტურ გამოყენებას.

აქვე, რაც არ უნდა გასაოცრად ჟღერდეს, მაინც უნდა ვთქვა ჩემი სათქმელი: თუ მანქანათმშენებლობაში შეიძლება უკონტაქტო მაგნიტური საკისრების გამოყენება, მაშასადამე, ადამიანის ანატომიაშიც შესაძლებელია მისი გამოყენება. ადამიანის საყრდენ-მამოძრავებელ სისტემაში ე.ი. სახსრებში, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული პრობლემაა დღეისათვის ადამიანის ჯანმრთელობის მხრივ და სწორედ ეს იქნება ჩემი ამ წლის სამუშაო, რომლის თეორიული გათვლები უკვე დამთავრებული მაქვს, პროექტი და ესკიზური ნახაზები თითქმის მზადაა. თუ ვინმე წამომეშველება, ალბათ, მალე გავაკეთებ რობოტს უკონტაქტო მაგნიტური სახსრებით. ეს იდეა უკვე გავაცანი საქართველოს ორთოპედ-ტრამვატოლოგთა საზოგადოებას და მივიღე დადებითი დასკვნა.

წარმოგიდგენთ საქართველოს ორთოპედ-ტრამვატოლოგთა საზოგადოების სარეკომენდაციო წერილს გამოგზავნილს სტუ-ს რექტორის დავით გურგენიძის სახელზე: „ბატონი გოგი კვარაცხელიას იდეა ართროზით დაავადებული პაციენტების მკურნალობის ნოვატორული მეთოდის შესახებ ნამდვილად იმსახურებს ცხოველ ინტერესს. პრობლემის აქტუალურობიდან გამომდინარე, მეტადრე, მაშინ, როდესაც სახსრების დეგენერეაციული დაავადებების მკურნალობა დღემდე გადაუჭრელი დილემაა, მიუხედავად არსებული მკურნალობის მეთოდებისა: მედიკამენტოზური, ანტიანთებითი საშუალებებით, სახსრებშიდა ინექციებით, სტეროიდებით, ლუბრიკანტებით, ზრდის ფაქტორებით, ღეროვანი უჯრედებით და.ა.შ. ასევე ოპერაციული ინტერვენციის გზით სასახსრე ზედაპირების ხელოვნური ინპლანტებით ჩანაცვლება, ანუ ჰემი და ტოტალური ენდოპროთეზირება და ა.შ. ვინაიდან ზემოთ ჩამოთვლილი ყველა მეთოდი ან სრულიად არ არის ეფექტური, ან ძალიან ტრამვულია და ხშირად ახლავს სხვადასხვა გართულებები. განვმეორდები და ვიტყვი, რომ ბატონი გოგი კვარაცხელიას იდეა — ართროზით დაავადებული სახსრების ანტიგრავიტაციული მოწყობილობით მკურნალობა — იმსახურებს ინტერესს, რამეთუ იგი გულისხმობს, დეგენერაციულად გადაგვარებული სახსრების ღერძული კომპრესიისგან განტვირთვას, განმზიდი მუდმივი ძალის წარმომქმნელი მაგნიტების ინპლანტირებით. საქართველოს ორთოპედ-ტრამვატოლოგთა ასოციაცია, მისი სათაო ოფისი და პრეზიდენტი მხარს უჭერს წარმოჩენილი იდეის მიმზიდველობას, ნაკლებინვაზიურობას და მიგვაჩნია, რომ საინტერესო იქნებოდა, ექსპერიმენტული ნაწილის შესრულებისა და მისი ეფექტურობის დადასტურების



შემთხვევაში, გადატანილი იქნას სამედიცინო პრაქტიკაში ყველა სათანადო კვლევების დადებითი ეფექტის დადგენის შემდეგ.

წერილს ხელს აწერენ: საზოგადოების პრეზიდენტი ზურაბ ხაბეიშვილი, ორთოპედ-ტრამვატოლოგი ვაჟა გაფრინდაშვილი და მსოფლიო ორთოპედ-ტრამვატოლოგთა საზოგადოების საქართველოს სექციის ნაციონალური დელეგატი ლევან ნაჭყებია.

ამას გარდა, ბევრი სხვა ინოვაციური პროექტები მაქვს აეროდინამიკაში, ჩემი მარადიული „სიყვარული“ მეცნიერებაში მაინც ავიაციაა. ძირითადი მიმართულება კი დისკოსებური საფრენი აპარატები გახლავთ.

თქვენ მკითხეთ, რა იყო ჩემი მიზანი მეცნიერებაში, რისთვის ვიბრძოდი მთელი სიცოცხლე, საით მივისწრაფოდი. გეტყვით: მე არ ვადარებ თავს არც აინშტაინს, თავისი ფარდობითობის თეორიებით, არც არქიმედეს, ამომგდები ძალით, არც ტესლას, ელექტროძრავებით. მე მაქვს ჩემი თეორიული ხედვა და მიზანი ვერტიკალურ ღერძზე დისკოსებრ მბრუნავ სხეულებსა და კონუსური ფორმის ჰორიზონტალურ ღერძზე მბრუნავ სხეულებს შორის ფარდობა: სიჩქარის, ხახუნისა და გრავიტაციის ძალთა კოეფიციენტში.

●

ნამუშევრების ვიზუალური დათვალიერებისას ასევე მოგხვდებათ თვალში კედელზე ჩამოკიდებული სურათი, სადაც აღბეჭდილია აღლუმი 1984 წელს. სააღლუმოდ გამოწყობილი მანქანის ძარაზე ზის ახალგაზრდა კაცი და მანქანის მოძრაობასთან ერთად მის ძარაზე დამონტაჟებული სტენდის გარშემო დაფრინავს ელექტროძრავაზე მომუშავე თვითმფრინავის ასლი. ეს ბატონი გოგი გახლავთ, იმ დროს კოლმეურნეობაში მუშაობდა, თურმე, მშენებელი ინჟინერის თანამდებობაზე და დავალებული ჰქონდა სააღლუმო მანქანის მოწყობა. მერე ყოფილა წალენჯიხის სტადიონზე მისი უპილოტო საფრენი აპარატების დემონსტრირება, მერე ზუგდიდი, პილოტაჟების საჰაერო ბრძოლის მოდელების დემონსტრირება და უამრავი ოვაციები.

1984 წელს, როცა დღეს სიკვდილის შემდეგ ლეგენდად ქცეული ტესლა არავინ იცოდა ვინ იყო, მაშინ უკვე გოგი კვარაცხელიას ავიამოდელები ელექტროძრავაზე დაფრინავდა თურმე.

ადამიანის განსაკუთრებული სახით წარმოსაჩენად ჩვენ, ხანდახან, მათ სხვა გამოჩენილ ადამიანს ვადარებთ. ზედმეტად ნუ მოგეჩვენებათ და ახლა სწორედ, ნიკოლა ტესლა გამახსენდა. ამ გადმოსახედიდან, ვერანაირ სხვაობას ვერ ვხედავ ერთი მიმართულებით მოაზროვნე ამ ორ გამომგონებელს შორის, ერთი განსხვავებაა მხოლოდ რომ ტესლა წარმოშობით სერბი იყო, გოგი კვარაცხელია კი ქართველია.

— ტესლა ახსენეთ და შეიძლება ბევრმა არ იცის, რომ ყველასგან მიტოვებული, მოტყუებული ნიკოლა ტესლა უკიდურეს გაჭირვებაში და სიღარიბეში გარდაიცვალა იაფფასიანი სასტუმროს ბნელ ოთახში. მისმა გამოგონებებმა კი, მოგვიანებით, ტექნიკური რევოლუცია მოახდინეს მსოფლიოში.

ტესლას იმით ვჯობივარ, რომ ის უშვილძიროდ გადაეგო, მე კი ორი ვაჟი მაინც მყავს, ორი ვაჟკაცი, რომლებიც დღეს ამერიკაში მუშაობენ. მე კი ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობ. ჩემი ბინა გავყიდე, რომ ჩემი გამოგონებებისთვის ხელი წამეშველებინა, — ამბობს ბატონი გოგი, თან ნაღვლიანად იღიმება.

ვუსმენ ამ საინტერესო ადამიანს და იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ საქართველომ, ქართულმა სახელმწიფომ, ჯერ კიდევ არ იცის, რომ მისი ყველაზე დიდი სიმდიდრე, ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულება, ეს არის ნიჭიერი ადამიანები, რომელთაგან ბევრი იძულებულია სამშობლო დატოვოს და სხვაგან, სხვა ქვეყანაში მოახდინოს თავისი ნიჭის რეალიზება და სხვა ქვეყნის ხაზინას შემატოს მილიონები და მილიარდები.

თუ გვინდა, წარმატებული ქვეყანა გვერქვას, თუ გვინდა, რომ ღარიბები და მაჩანჩალები არ ვიყოთ, გავუფრთხილდეთ, გვერდით დავუდგეთ, ვუპატრონოთ და დავეხმაროთ გოგი კვარაცხელიასნაირ ადამიანებს.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

გარდაიცვალა
მურმან ჯგუბურია

უნიჭიერესი პოეტი, პროზაიკოსი, ესეისტი, მთარგმნელი.

მან ძალზე მდიდარი და მრავალფეროვანი შემოქმედება დატოვა, რომელიც აუცილებლად გაუძლებს დროის გამოცდას.

მურმანი ნამდვილი პროფესიონალი იყო, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით.

ნატიფი და დახვეწილი გემოვნების შემოქმედს სხვისი შემოქმედებითი წარმატებაც საკუთარივით ახარებდა.

ქართულ მწერლობაში იშვიათია ადამიანი, რომელსაც სიყვარულით გამთბარი ამდენი წერილი და ესსე ჰქონდეს გამოქვეყნებული თავისი კოლეგების შესახებ.

იცხოვრა და იღვაწა ჩუმად, უხმაუროდ, მუხლჩაუხრელად. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

მეგობრები

*** * ***

ის ჟამი, როცა ჩქაფუნა ჯუმში
გვედგა პაწია ნავი,
წავიდა, მაგრამ მდინარე დარჩა,
მხოლოდ მცირე აქვს განი
და აღარც ნავი არა ჩანს არსად,
ხოლო წითელი მზე კი,
ამოდის ისევ, როგორც იმხანად,
ჯუმის მახლობელ ფერდით.
წავიდა სვიმო-ბაბუა, მალე
ალბათ, ბებიაც წავა,
უცვლელი რჩება ეს ჯუმის წყალი
და ონარიის ჰავა.
მაინც ყველაზე გასაკვირია
და სასაცილო ის, რომ
სოფლად ჩასული გახა ქირიამ
ვერა და ვეღარ მიცნო.
არა და, მხარზე შესკუპებული
ვუტარებივარ წლობით,
გვიან კი, ჯუმში ერთად მოგვისვამს
მცირე ნავისთვის ხოფი:
სად მიდის ხსოვნა, რამ დაავიწყა
ბერიკაცს ჩემი თავი, -
ის ჟამი, როცა ჩქაფუნა ჯუმში
გვედგა პაწია ნავი!

*** * ***

- პოეტობაზე იწეწება! - მითხრა ემზარმა -
მელექსის გამო და უეცრად ყოფნა შემზარდა!
ვაი, ლექსებო, უსუსურნო და უვარგებო,
ვაი ამ გლახა წიწაობას, ჩემო კარგებო,
ვაი, ამ ყოფას; პოეტობას მიელტვის ვიღაც,
ვაი ამ მიეთ-მოეთობას, აქაც და იქაც!
ისე კი, ღმერთმა მოუმართოს იმგვარ კაცს ხელი,
ვისაც ჰგონია, - პოეტობა საქმეა ძნელი...

*** * ***

მალე ჩამოთოვს ლებარდეს მთებს და ფილთა თოფის
ობოლი ბათქი გაისმება მყუდრო ჭალაში,
ხმა გაისმება, ლეხამურეს, სალხინოს, ოკრიბს,
გახარებული გლეხიკაცი შევა მარანში.
მტვერს გადააცლის ის ღიღინით ადესის ლაგვინს,
აიღებს ხერკეს, ამოიყვანს წვენს სინათლეზე,
გაიფხაჭუნებს ხანდისხანად ოდაში თაგვი,
და ჰყვება ბაბუ გარდასული დროის ნაკვესებს.
იყო აკაკი, ვით ეს თოვლი, სუფთა და წმინდა,
საქართველოს გულს ადღეგრძელებს კაცი სასმისით,
ქუსლთან ჩვეულად გაცრეცილი მოსავს მას წინდა,
და ახსოვს, როგორ მოიტაცეს როსმე „საწმისი“.
ზამთრის ხანს მეტი რაღა რჩება სალაპარაკო,
„გაზეთი რას წერს?“ - აქ იკითხავს და მეზობელი
გადაჰკრავს ღვინოს, და სოფლიდან დიდი ქალაქი
მოწყვეტილია, - ქალაქიდან, როგორც სოფელი!
აქ სხვა ყოფნაა, ბინდი მთიდან ნელა ჩამოდის,
მცირე ხანს კიდევ იჭიატებს სინათლე თეთრი;
ღამეა კუპრი და გალიგვულ გარეშემოში
მარტოა კაცი, როგორც ცაში, მაღალი ღმერთი!

ვინ დაიცავს თამარ ბაჩალიაშვილს უგუნური მშობლებისგან, რომლებიც, ნებსით თუ უნებლიედ, ნაცსექტის პოლიტიკურ შეკვეთას ასრულებენ და სიმართლის დადგენას ხელს უშლიან?

ვინ შეაჩერებს ამ ორ, ულმერთო და უსინდისო ვაი ჟურნალისტს, ნიკუტა გვარამიას და ელისტრახო კილაძეს, რომლებიც თამარ ბაჩალიაშვილის სახელს ლაფსა და ტალახში სვრიან

23 წლის პროგრამისტის თამარ ბაჩალიაშვილის გარდაცვალება, ეს უდიდესი ტრაგედია კოლექტიურმა ნაცებმა ჩვეულ რეჟიმში „გამორჩენის“ საგნად აქციეს. გიორგი შაქარაშვილის მკვლელობის შემთხვევაში თუ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა ამ სვავების სექტას, თამუნა ბაჩალიაშვილის შემთხვევაში, მისი ოჯახის გულუბრყვილობითა თუ სხვა მიზეზით, ბინძური საქმიანობისთვის სრული კარტბლანში მიიღეს. ნაცსექტანტებმა გამწარებულ ოჯახს ინტერესების დამცველადაც თავიანთი ერთგული კადრი, გაურკვეველი კომპეტენცია-დონის ადვოკატი მიხეილ რამიშვილი შეაჩეჩეს და დიდი აქტივობით დაიწყო ბინძური ინტრიგების ხლართვა.

გარდაცვლილი გოგონას დედა თეონა თამაზაშვილი გენპროკურორ ირაკლი შოთაძესთან შეხვედრას ითხოვდა, მანამდე ვაპირებ გენპროკურატურის შენობასთან დგომას, სანამ შოთაძე არ შემხვდებაო და უარის შემთხვევაში შიმშილობის დაწყებასაც აპირებდა. გენპროკურორიც შეხვდა და პრემიერ-მინისტრი გახარიაც, მაგრამ რამ რად გინდა, ორი „დიდი პროფესიონალის“ გვარამია-კილაძის „დატრენინგებულ“, გამწარებულ დედას ალბათ, კარგა ხანს გაუჭირდება ამ შხამიანი მორიელების ქსელიდან თავის დახსნა. მე აღარაფრის იმედი არ მაქვს, მაგრამ ყველაფერს ვცდილობ და ვაკეთებო, აცხადებდა თამაზაშვილი. ბაჩალიაშვილის ავტომანქანაში აღმოაჩინეს წერილი, თანხაა ანგარიშზე და გამოიყენეთო. ექსპერტიზით დამტკიცდა, რომ ეს წერილი ნამდვილად თამარ ბაჩალიაშვილის დაწერილია. თამაზაშვილი ვარაუდობდა, რომ წერილი მის შვილს სხვებმა დააწერინეს, ჩემი შვილის გარდაცვალების საქმე „მზაკვრულადაა დაგეგმილიო“. „ყველაფერი ორ დღეში არ კეთდებოდა. თვეების განმავლობაში ხდებოდა ამ მზაკვრული გეგმის შემუშავება. ისიც არ იყო გამოკვლეული, ჩემს შვილს ანგარიშზე ჰქონდა თუ არა თანხა. სავარაუდოდ დააწერინეს. ჩემი შვილი იმდენად ჭკვიანი იყო, ისედაც მიხვდებოდა, რომ თუ რამე შეემთხვეოდა, მაინც ოჯახი გამოვიყენებდით ამ თანხას, ამის დაწერა რად უნდოდა. უბრალოდ ეს სჭირდებოდათ იმიტომ, რომ თვითმკვლელობის ვერსია გამართლებული ყოფილიყო. ვიცოდი ჩემი შვილი აგროვებდა თანხას, საზღვარგარეთ უნდოდა წასვლა. იცოდა ჩვენ ამის საშუალება არ გვქონდა, რასაც შრომობდა, აგროვებდა“. ეს ქალბატონი იმასაც ბრძანებდა, რომ ბაჩანა ლობჟანიძე მისი შვილის შეყვარებული თუ მეგობარი, შსს-ს მიერ იყო მოგზავნილი. ინტერნეტსივრცეში გავრცელებულ ამ ინფორმაციას, რომელსაც ფოტოც ახლდა, სადაც თამაზაშვილს უკან ადვოკატი მიხეილი უდგას, ფეისბუქმომხმარებლები ასე ეხმაურებიან, მოგზავნილი უკან გიდგას და ყველა სიტყვას გიკონტროლებს, ეგაა თქვენი დესტრუქციის მიზეზი. დაელოდეთ გამოძიების დასრულებას და თუ რამე არ მოგეწონებათ, გაასაჩივრეთ. ზოგს ეჭვი აქვს, ოჯახს ფული გადაუხადეს ნაცსექტანტებმა და ასე იმიტომაც საუბრობენო. ერთი ქალბატონი წერს, ამ საწყალ ქალს (დედას) აგიჟებენ, ვინ რას უსისინებს, ეს პროვოკატორი ვაი-ჟურნალისტები იმისთვის არიან, რომ რაც შეიძლება ჩახლართონ სიტუაცია და აურდაურიონ აზროვნება, ისედაც უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ დედასო. რაზეც ფეისბუქმომხმარებელი მამაკაცი პასუხობს, რომ ქალს ტვინი უნდა ჰქონდეს. ნათხოვარი ტვინით მეტს რას იტყვის, სხვის სისულელეებს იმეორებს, არ აცლის გამოძიებას და ხელს უშლის. საქმეს პირიქით, ყიყინი ურჩევნია, საცოდავმა გოგო ამათ ხელში ამდენ ხანს როგორ იცოცხლაო.

იმის პასუხად, რომ ბაჩალიაშვილებს თურმე უგონებდნენ, მათ ოჯახში წლების განმავლობაში არსებული დაძაბულობის შესახებ, სინამდვილეში კი, სიამტკბილობაში ცხოვრობდნენ. ადვოკატმა ირაკლი ზაქარეიშვილმა სოციალური ქსელში გაავრცელა სასამართლოს გადაწყვეტილება ჯუმბერ ბაჩალიაშვილის მიმართ, საპატრულო პოლიციის მიერ შედგენილი შემაკავებელი ორდერის დამტკიცების შესახებ. მოძალადე ჯუმბერ ბაჩალიაშვილი, მსხვერპლი თეონა თამაზაშვილი. სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი მასალებით დადასტურებულია ჯუმბერ ბაჩალიაშვილის მიერ, თეონა თამაზაშვილის მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტი. გადაწყვეტილების თარიღი 2008 წლის 6 ივლისი. მთაწმინდა-კრწანისის საპატრულო პოლიციეს თანამშრომელი შესაბამის ოქმში წერს, რომ ფსიქოლოგიური ძალადობა გამოიხატებოდა მუქარასა და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებაში. სასამართლომ მიიჩნია, რომ რომ მოეშორებინათ ჯუმბერ ბაჩალიაშვილი იმ სახლიდან, სადაც ცხოვრობს მსხვერპლი და იმ ადგილებთან მიახლოება აეკრძალათ, სადაც მსხვერპლი იმყოფება. ამ ინციდენტის დროს, თამარ ბაჩალიაშვილი 10–11 წლისაა. გავრცელებული ინფორმაციით, რომლის სიზუსტეზეც თავს ვერ დავდებთ, თამარ ბაჩალიაშვილს ადრე ჰქონდა სუიციდის (თვიმკვლელობის) მცდელობა. სხვათა შორის, ასეთი ორდერები სხვა მომდევნო წლებშიც ყოფილა გაცემული. ამ ამბის გახმაურებას „ოპერატიულად“ გამოეხმაურა ნიკუტა გვარამიას მეწყვილე „ჟურნალისტ-გამომძიებელი“ და საერთოდაც ქართული ჟურნალისტიკის „დედა“, თავისი სიტყვებით დიპლომიანი იურისტი ელისო კილაძე, თუ ზაქარეიშვილს მისცეს ეს გადაწყვეტილებები, მეც უნდა მომცენო. ეტყობა „დააეჭვა“ ამ დოკუმენტების ავთენტურობამ, ეს „ჭეშმარიტების“ მაძიებელი „ბანოვანი“. ინტერნეტსივრცეში ასევე გავრცელდა თამარ ბაჩალიაშვილის დაკითხვის ოქმიდან ამონარიდი, რომელიც 2011 წლით თარიღდება „...დედაჩემი ვინაიდან ცუდად იყო, ოთახის ტელეფონით გამოიძახა სასწრაფო დახმარების ბრიგადა, მისმა ექიმებმა აღმოუჩინეს პირველადი სამედიცინო დახმარება და შესთავაზეს საავადმყოფოში გადაყვანა. მათვე გამოიძახეს პოლიცია, რა დროსაც დედაჩემმა მათ განუცხადა, რომ მეუღლემ სცემა“. შეგახსენებთ, რომ ჯუმბერ ბაჩალიაშვილს არაერთხელ ჰქონდა გამოწერილი შემაკავებელი და დამცავი ორდერები, სახლში მისვლა სხვადასხვა ვადით ჰქონდა აკრძალული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაშიც არაერთხელ მიეცა, წერს ამ ინფორმაციის ავტორი.

ადვოკატი ირაკლი ზაქარეიშვილი პროკურატურას და შსს-ს მიმართავს, თამარ ბაჩალიაშვილის საქმეზე ელისო კილაძე, ბაჩალიაშვილის ოჯახის წევრები და სხვები ზეწოლას რომ ახორციელებენ მოწმეებზე, რა რეაგირებას ახდენთო. რა რეაგირება მოახდინეს ამ უწყებებმა, ვერაფერს მოგახსენებთ. ფაქტია, ტყუილად არ გამოთქვამდა იურისტი შეშფოთებას, იგივე ბაჩანა ლობჟანიძე რადიკალურადაა შეცვლილი, ნამეტანი ჩაეხუტა გვარამია-კილაძის „დუეტს“, გარდაცვლილისა და მისი სამეგობროს მიმართ ისეთი ბინძური განცხადებების კეთება დაიწყო, რომ საზოგადოების რისხვა დაიმსახურა. კოლექტიურმა ნაცებმა მათმა ფანკლუბმა ეს იმით „ახსნა“, ხომ ვამბობდით კომპიუტერების ეს სპეციალისტ, ბაჩალიაშვილის ე.წ. შეყვარებული ლობჟანიძე შსს-ს შემოგდებულიაო. ნაცსექტანტებო, თქვენი „გამჭრიახობა“ არ გაიშვა, რაღა ჟურნალისტიკის იმ ორ „გურუსთან“ ვიზიტების შემდეგ მოეძალა ამ ყმაწვილს სიბინძურეების ნთხევისა და არაადექვატური განცხადებების კეთების სურვილი. ზოგიერთი ფეისბუქმომხმარებელი (ალბათ ნაცნობები) ლობჟანიძის საქციელს, მისი ასე ვთქვათ მგრძნობიარე ბუნებით ხსნის. ფაქტი ერთია, ყველა ვერ უძლებს ფსიგოლოგიურ ზეწოლას და აგრესიას, ანუ ბულინგს, როგორც უყვართ ხოლმე ჩვენს უკუდო „პრადვინუტებს“ თქმა. თამარ ბაჩალიაშვილის მეგობარი გოგონას მიმართ ბინძური პასკვილების ფრქვევის შემდეგ, როცა საზოგადოების რისხვამ „პიკს“ მიაღწია, ეს არაადამიანები, ამ გოგონასაც მოაკვლევინებენ თავსო, ლობჟანიძემ მას ბოდიში მოუხადა. დანარჩენ „გამომძიებლებს“ ყური არ გაუბარტყუნებიათ, რა ბოდიში, როცა „გრანდიოზული“ პოლიტიკური დაკვეთა აქვთ შესასრულებელი. ჩვენ არავის არაფერს ვაბრალებთ და არც ვინმეს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა გვინდა, უბრალოდ გაწვდით საზოგადოების წევრთა, მათ შორის პროფესიონალი იურისტების მოსაზრებებს გაწვდით, რომლებიც წერენ, რომ თამარ ბაჩალიაშვილის თვითმკვლელობამდე მიყვანის ბრალდებით, ორივე ცოლქმარი, ანუ მისი მშობ-

ლები არიან დასაჭერები. ამ აზრს იზიარებს სხვა ადამიანიც, ზუსტად ეგრე უჩანს პირი, რომ ოჯახიდან გამომდინარე მიიყვანეს ეს ბავშვი ამ გზამდე. იმედია დაადგენს გამოძიება და ორივე ცოლქმარი უნდა ჩაყარო ციხეშიო. ბაჩანა ლობჟანიძემ ბევრი რამ იცის, რამაც მიიყვანა ეს გოგონა სუიციდამდე, ამბობს სამჯერ სცადა თამარმა თვითმკვლელობაო. შეიძლება ძალიან მკაცრია, მაგრამ ვფიქრობთ, საფუძველს მოკლებული არ არის შემდეგი ფეისბუქპოსტები: კარგად მოუსმინეთ უბინძურესი ელისო კილაძის ინტერვიუს დედასთან, როგორ ერთვება დედა საუბარში და დეტალები თავად გააანალიზეთ. დედა ძალიან ნაბ...რია, აშკარაა, ხელს აფარებს მამას, რომელზეც აღარ ვსაუბრობ, ღორია, უნდა რომ მკვლელობა იყოს. ორ საათში რატომ დარეკეს პოლიციაში? მაგ ქალს ყველა თავისნაირი ჩლუნგი ჰგონია, სახლში ეძებონ მიზეზი, რომელიც ძალიან კარგად იცი-ან. ელისოსთან რომ ქალი იკონ-

ტაქტებს, დასკვნა — ვიცით ვინც არის. შვილმკვდარ მშობლებზე როგორ უნდა ილაპარაკო, მაგრამ იმის მაგივრად, რომ ანგელოზივით შვილი იგლოვონ, ტელევარსკვლავებად იქცნენ. სამართალმა არა მკვლელების გვერდით დგომით უნდა იზეიმოს, არამედ გამოძიებას უნდა დაელოდონო. დარწმუნებული ვარ, ამათ გამო მოიკლა თავი საწყალმა გოგონამ. ამაზრზენი კაცუნაა ეს მყრალი კაცუნა.

ძალიან საგულისხმო მოსაზრებას გამოთქვამს ერთ-ერთი პირი, რომელიც არ არის გამორიცხული, წარსულში ძალოვანი სტრუქტურის თანამშრომელი იყო. ეს პოსტი იქამდეა დადებული, სანამ ბაჩანა ლობჟანიძე „ფერიცვალობას“ განიცდიდა — „მამამისის ყველა ჩვენებას სამწუხაროდ, იქით მივყავართ, რომ როგორც მინიმუმ, ეჭვმიტანილთა სიაში მოხვდეს თუნდაც ტყუილის გამო, ელექტროშოკთან დაკავშირებთ, ვითომ ვიღაც ბებოსგან რომ იყიდა. ელექტროშოკი, გაზის პისტოლეტი, ხმოვანი და საფანტის პისტოლეტები, ასევე ცრემლსადენი ბალონი და სხვა თავდაცვითი საშუალებები, არის ლიცენზირებული საქონელი და იყიდება მხოლოდ იარაღის სპეციალურ მაღაზიებში. საერთოდ, ყველა თვითმკვლელობისა და მკვლელობის გამოძიება ოჯახიდან, სამსახურიდან და სამეგობრო წრიდან იწყება. ამ ბაჩანა ლობჟანიძის მიმართ ასეთი უჩვეულო აგრესიის გამოვლენაც, მეტად საეჭვო ფარემოებებზე მიუთითებს“. ძნელია არ დაეთანხმო ირაკლი ზაქარეიშვილს, რომელიც წერს, რომ შაქარაშვილების ღირსეული ოჯახი ვერ აიყოლიეს ნაცებმა, ბაჩალიაშვილების ოჯახი კი მაჩალიკაშვილის „კლასტერისა“ აღმოჩნდნენ და დახლთან დადგნენ ნაციონალური „ფართუკებით“. თამარის დედას შთააგონებენ, რომ მისმა შვილმა შეაღწია მმართველი ძალის სამი მაღალჩინოსნის ფაილებში, მოიპოვა მათი მამხილებელი საიდუმლო ინფორმაციები და ამის გამო მოკლეს. შემდეგი სერია ამ სამი მაღალჩინოსნის „დასახელება“ და მათი მოთხოვნით, საპროტესტო ტალღის აგორების მცდელობა იქნებაო. თეონა თამაზაშვილი პრემიერ-მინისტრ გახარიას სთხოვს ამ სამი მაღალჩინოსნის გამოჩენას, როგორც ჩანს, ჯერ არ „იცის“ მათი ვინაობა, თორემ ალბათ გაამხელდა. ეტყობა „დირიჟორებსაც“, ნაცების ლიდერ-შიფის და კილაძე-გვარამიას დუეტის სახით, ჯერ არ გადაუწყვეტიათ ვის წაუყენონ „ბრალი“. ელისო კილაძის „ფავორიტმა“, საქართველოს საწინააღმდეგო ქცევა-განცხადებებში მარად „შალხაზმა“ ვახა მაჩალიკაშვილმა ბუნებრივია, არც ახლა უღალატა ჩვეულებას და გადმოისროლა მორიგი „მგზნებარე“ მიმართვა ბაჩალიაშვილების მიმართ: „მე მათ ვეტყოდი — პირდაპირ დაარტყან ხელისუფლებას, დაარტყან სახელმწიფოს!“. ამ პერსონას ამგვარი განცხადებების კეთების მერე პრეტენზია უჩნდება, რატომ არ უდგას გვერდით მთელი საქართველო. სამაგიეროდ ბაჩალიაშვილებმა აიტაცეს ვახა-ნაცების ლოზუნგები, თეონა თამაზაშვილი, რომლის ინტერესებსაც ნაცების განუყრელი „კორიფე“ ადვოკატი მიხეილ-„ტროსტიკა“ რამიშვილი იცავს, ასევე „მქუხარედ“ მოუწოდებს ხელისუფლებას, ირინა ენუქიძე მოგონილი იქნება, თუ არ დამისახელებენ ვის ფაილებშიც შეაღწია თამარმა, მთელი საქართველო დაიძვრებაო. ეს ფრიად „ორიგინალური“ გარეგნობის ხელჯოხიანი ადვოკატი რამიშვილი ერთი პერიოდი ცხონებული ქალბატონი ირინას ადვოკატი ყოფილა სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეში. შვილმოკლული დედისთვისაც ისევე შეუთავაზებია თავისი მომსახურება, როგორც ახლა გიორგი შაქარაშვილის მშობლებისთვის. მირიან ნიკოლაძესთან ერთად მეც დავცავ თქვენს ინტერესებს, „შრომის“ ანაზღაურება არ მინდაო. „ავენებს“ თუ დავუჯერებთ, ირინა ენუქიძემ მალევე გააპანღურა „ტროსტიკა“, ხოლო შაქარაშვილებმა თავიდანვე არ გაიკარეს ნაცების „დესანტი“. ექს-დეკანოზ გიორგი მამალაძის საქმეც კმარა, რამიშვილის ადვოკატური „ბაგაჟის“ შესაფასებლად. სამაგიეროდ, ბაჩალიაშვილები დაიყოლიეს, ალბათ მათაც შესთავაზებდნენ მიშა-„კორიფეს“ უფასო მომსახურებას და ახალგაზრდა გოგონას სიკვდილი, რომელიც უდიდესი ტრაგედიაა, ამ მართლა ბოროტმა კლოუნებმა, ანუ კოლექტიური ნაცებმა და ადვოკატ-„გამომძიებლებმა“, ლამისაა ფარსად აქციონ. ვინმეს ეჭვი ეპარება, რომ ამ პოლიტიკურმა ტაკიმასხარებმა დაარწმუნეს ბაჩალიაშვილები, რომ მთელ საქართველოს დაძრავენ. ამ ტაკიმასხარების როგორ უნა დაიჯერო ადამიანმა, რომლებით ლამის ერთი „კვარტლით“ ადრე აანონსებენ, რუსთაველის გამზირზე გრანდიოზული, ლამის მილიონიანი მიტინგი უნდა გავმართოთო და თავიანთი სატელიტებიანად 10.000 კაცზე მეტი ვერ გამოყავთ. ამ „კონტიგენტის“ ნახევარზე მეტმა კი საერთოდ არ იცის, რისთვის გამოვიდა აქციაზე, უბრალოდ დედაქალაქში მუქთა გასეირნებას და მაქსიმუმ 50 ლარიან გასამრჯელოს დახარბდა.

ნაცმოძრაობა და მისი „ასკოლკები“ თავის მედია-„ენჯეოებიანად“ რომ რეალურად უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების „ჯამაგირებიანი“ აგენტურაა, ამის შესახებ არაერთხელ აღუნიშნავს საღად მოაზროვნე საზოგადოებას. ბოლო ხანს მომხდარ მკვლელობებსა თუ თვითმკვლელობებსაც ამ სულგაყიდული სექტის ინტერესებს უკავშირებდა ეს ხალხი. ამ პოზიციაზეა ადვოკატი ირაკლი ზაქარეიშვილიც — კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ გიორგი შაქარაშვილისა და თამარ ბაჩალიაშვილის ბურუსით მოცულ ტრაგედიებში, აშკარად გამოკვეთილია ნაცმოძრაობისა და ერთ-ერთი უცხო ქვეყნის სპეცსამსახურის ხელშეწყობის კვალი. მიზანი საქართველოს ხელისუფლების მიმართ მოსახლეობის კრიტიკული განწყობის გაღვივება და რევოლუციური აქტივაციააო. როგორ აღელვებს ნაცებს და მათ რუპორ გვარამიას იგივე ბაჩალიაშვილების ტრაგედია, მისი რეპორტაჟიდან გამოჩნდა, როცა მათთან სახლში მივიდა. ნაპროკურორალმა „გამომძიებელ ჟურნალისტმა“ გადაცემა დაიწყო სიტყვებით, ჩვენ ახლა ვიმყოფებით ვაჩაგაშვილების ოჯახშიო, ერთხელ შეიძლება რომ ეთქვა შეიძლება გეფიქრა, ალბათ შეცდომა მოუვიდა გვარამიასო, მაგრამ იგივე გაიმეორა, ე.ი. ისიც კი არ იცოდა წესიერად, რა გვარია ოჯახი, ანუ სულ ფეხზე კიდია ბაჩალიაშვილი იქნება თუ ვაჩაგაშვილი. მიზანი ერთი აქვთ ნაცებს, მათთან ასოცირებულ ტელევიზიებს და სამწუხაროდ გარდაცვლილი თამარ ბაჩალიაშვილის ოჯახსაც, ოღონდ ეს სიმართლის გარკვევა არ არის. სიმართლის გარკვევა ვისაც უნდოდა თავიდან ეს პროგრამისტი ბაჩანა ლობჟანიძე იყო, რომელსაც ზემოხსენებული „კონტინგენტი“ გასაოცარი აგრესიულობით დაესხა თავს. კოლექტიურ ნაცებს რომ ძალიან უნდათ თამარ ბაჩალიაშვილის მშობლებმა პოლიტიკური თემა ააგორონ, ვიღაცას დაბრალდეს, მაგრამ ეს არ უნდა იყოს კომპანია „ზეგი“. საიდან ამტიკიცებს ქალბატონი თამაზაშვილი, რომელმაც თურმე არაფერი იცოდა შვილის საქმიანობის შესახებ, რომ ეს კომპანია არაფერ შუაში იყო?! ბაჩანა ლომბჟანიძემ თქვა, რომ კომპანია „ზეგი“, რომელშიც თანმარ ბაჩალიაშვილი მუშაობდა, არალეგალურ საქმიანობას ეწეოდა. სავარაუდოდ, პორნოსაიტებს ამზადებდნენ, ისიც ითქვა რომ ბავშვების პორნოგრაფიასაც შეეხებოდა. იქით ამ კომპანიის ამერიკელმა შეფმა აბრაამ რეიხბახმა გამოთქვა უკმაყოფილება, რომ თურმე საქმიანი „რეპუტაცია“ შეულახა ბაჩანამ, აქეთ ნაცების „კლასტერი“ აქოთქოთდა. ამ დროს ყოფილმა პოლიტპატიმარმა, „ევრაზიის ინსტიტუტის“ წარმომადგენელმა შოთა აფხაიძემ ძალიან საინტერესო წერილი გამოაქვეყნა, საიდანაც გთავაზობთ ამონარიდს — საკითხის საფუძვლიანად შესწავლის შემდეგ, სანდო წყაროების და ზუსტი ინფორმაციის საფუძველზე დასტურდება, რომ კომპანია „ზეგი“, სადაც პროგრამისტად მუშაობდა თამარ ბაჩალიაშვილი, ჩართული იყო არალეგალურ კრიმინალურ ტრანსნაციონალურ დანაშაულში და თავის მხრივ წარმოადგენს კრიმინალური პორნოკარტელის ნაწილს. რატომ დროულად არ იქნა აღკვეთილი მსგავსი კომპანიის საქმიანობა საქართველოს ტერიტორიაზე, ეს ცალკე აღებული უდიდესი პრობლემაა, რომელიც ქართული სპეცსამსახურების და სამართალდამცავი სისტემის კომპეტენტურობასა და პროფესიონალიზმს უკავშირდებაო.

„გამომძიებელი“ ჟურნალისტებისა და „ეგზოტიკური“ ადვოკატის მიხეილ რამიშვილის „მოღვაწეობამ“, თავად ნაცმოძრაობის აქტიური მხარდამჭერი, „თავისუფლების ინსტიტუტის“ წევრი თეა თუთბერიძეც კი აღაშფოთა. თეა ადეიშვილის გადაცემის ყურებისას მის სეხნიას აზრი გაუჩნდა, რომ ბაჩალიაშვილებს ძალიან დებილი ადვოკატი ყავთ, რომ ელისო კილაძე არის ნაძირალა. კილაძის პასუხებიდან გამომდინარე, თუთბერიძე წერს, „ამას (კილაძეს) მგონი, დებილი ჰგონია ყველა, ვინც მაგას უსმენს. ნუ შეიძლება ეგრეცაა, მაგრამ მეც შემომეხმიანა დღეს და გულისმრევად ნაძირალა ქალია?!“. არ მეგონა როდისმე თეა თუთბერიძის თანამაზრე თუ გავხდებოდი, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში სრულად ვეთანხმები.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

იყიდება დედამიწა

საზოგადოებამ ფაქტიურად არაფერი იცის იმის შესახებ რომ 2008 წლის საკვების და ფინანსური კრიზისის შემდეგ დაიწყო ნაყოფიერი მიწების ტაციაობა. 2008 წლიდან მომდევნო ორ წელიწადში ორმოცდაათ მილიონ ჰექტარზე მეტმა მიწამ გამოიცვალა პატრონი და კიდევ ათობით მილიონი ჰექტარი იყიდება. აღნიშნულმა ფაქტმა გაეროც კი შეაშფოთა. ლაპარაკობდნენ აგრარული ნეოკოლონიალიზმის გაჩენის საშიშროებაზე... ყიდულობენ როგორც მდიდარი ისე გამდიდრების გზაზე მდგარი ქვეყნების (იაპონია, ჩინეთი, ინდოეთი და სპარსეთის ყურის) ინვესტორები და მეწარმეები რომლებიც მათ მთავრობათა მხარდაჭერით ცდილობდნენ მათი ქვეყნების საკვებით მომარაგების უსაფრთხოების უზრუნველყოფას. მიწებს იტაცებენ, წმინდა ფინანსური სუბიექტებიც ბანკები, სპეკულატური ფონდები, რომლებმაც გაიგეს რომ ოცდამეერთე საუკუნეში ყველაზე მომგებიანი იქნება ფულის დაბანდება მიწაში. მწერალი, ფილოსოფოსი და მრავალი მონოგრაფიის ავტორი, პიერ რაბი გვეუბნება რომ დედამიწა სამოთხედაა შექმნილი და ჩვენ ის არ უნდა გადავაქციოთ ნანგრევებით მოფენილ ჯოჯოხეთად და წამებულ-ტანჯულთა საკონცენტრაციო ბანაკად. ტექნომეცნიერების, მძიმე ინდუსტრიის, პროდუქტიულობის, ყველაფერი ღირებულის ყიდვა-გაყიდვის ობიექტად გადაქცევის ხანაში ჩვენ მიწაში, მცენარეებში, ცხოველებში ვხედავთ მხოლოდ ფინანსური მოგებისა და ხეირის წყაროს. სტანდარტიზებული, გადაგვარებული თესლებით, გენეტიკურად შეცვლილი ორგანიზმებით, ქიმიური სასუქებით, სინთეზური პესტიციდებით, მონოკულტურით, მეტი მორწყვით, ინტენსიური მაშინიზმით დაწყებულია მკვლელი პროცესი. თანამედროვე სოფლის მეურნეობა-მიწათმოქმედებამ დიდი ზიანი მიაყენა მკვებავ დედა-მიწას. პიერ რაბი ხაზს უსვამს იმას რომ უბედურებათა მიზეზია ნეოლიბერალური სისტემის დაჟინებული სწრაფვა საკუთარი თავის განუწყვეტლად დაძლევისკენ. სოფლის მეურნეობა-მიწათმოქმედება ვერ გადაურჩა პროდუქტივიზმის იდეოლოგიას, რაც არის მთელ დედამიწაზე არსებობის იდეოლოგიად გადაქცეული სიხარბე და გაუმაძღრობა, ბაზრის და უსაზღვრო მოგების კანონით შთაგონებული პროცესი და მექანიზმები საშინელ ფიზიკურ, ბიოლოგიურ, ენერგეტიკულ ზიანს აყენებენ მკვებავ დედა-მიწას. რესურსის ამ ფინანსიარიზაციას მოყვება გუმუსის, ნიადაგის და სიცოცხლის მოსპობა, წყლების დაბინძურება, ბიომრავალფეროვნების დაკარგვა, ნამდვილი გლეხების და მათი ცოდნის, მათი კულტურის გაქრობა. სოფელი დაკარგავს სიცოცხლის უნარს, უდაბნო დაიპყრობს ახალ ტერიტორიებს. აოხრების ამ რიტმში ცივილიზაციას მოსპობს გაუმაძღარი გაღორებული კაცობრიობის მიერ დედამიწის მკვებავი რესურსების ამოწურვა და არა მეტეორიტი თუ გიგანტური კლიმატური ქაოსი. მსოფლიოს მმართველებს შეუძლიათ სამიტების ზედიზედ მოწვევა და კარგი დაპირებების დადება, მაგრამ

დაწყებული პროცესი მიადგა შეუქცევადობის ზღვარს და ყველაფერი დაიღუპება თუ კი გაბედული ხელი არ შეაჩერებს ამ პროცესს. დღევანდელი ჩიხი, რომელიც დიდად სცდება სოფლის მეურნეობა-მიწათმოქმედების საზღვრებს დადასტურებულია ყველა შესაძლებელი მაჩვენებლით. მას შეუძლია უძლურების განცდის გამოწვევა. სულ უფრო და უფრო აშკარა ხდება კაცობრიობის მოსპობის ალბათობა. ადამიანი რა თქმა უნდა შეძლებდა დედამიწის მოსპობას, მაგრამ უფრო სავარაუდოა რომ ბუნება გადარჩება ჩვენს შემდეგაც ვინაიდან ჩვენ მას არ ვჭირდებით. პიერ რაბის თქმით წამალია აგროკეოლოგია ანუ ეკოლოგიასთან დაკავშირებული აგრონომია, მიწათმოქმედება ბუნების პატივისცემით. აგროეკოლოგია მეტია პროგრამაზე და მეთოდზე, პროცესზე და ხედვაზე, ისაა ცხოვრების ეთიკა. ამ ეთიკის ხვეულებში შეუსვლელად, მისი უკიდურესად გამარტივებით შეიძლება ითქვას რომ ის გვთავაზობს კაცობრიობის კვებას დედამიწის ინდუსტრიალიზაციისთვის თავის არიდებით რესურსების ოპტიმიზაციით. ამისთვის უნდა დავეფუძნოთ დღეს დავიწყებული გრძელვადიანი აგრონომიის უპირატესობებს, ესაა პიერ რაბის ნაშრომი „აგროეკოლოგია, ცხოვრების ეთიკა“ კაცობრიობის საერთო საარსებო პირობები გაუარესდა, ადამიანმა საშინლად დააზარალა ბუნება. პიერ რაბი გვეუბნება რომ ჩვენ უნდა უარვყოთ უსასრულოდ მოხვეჭა-გამდიდრების მითი. ჩვენ უნდა გავიგოთ რომ ჩვენ მკვებავ დედა-მიწას აქვს სასიცოცხლო მნიშვნელობა და რომ აუცილებელია ზომიერება-სიფხიზლის ეთიკა. ზომიერება მულტინაციონალებზე ბევრად უფრო ძლიერია. „ჩვენ რომ ზომიერები ვიყოთ მულტინაციონალები ხმას გაიკმინდავდნენ, ვინაიდან ჩვენ ვკვებავთ მათ ჩვენი უზომობა-უწესობით,“ – ამბობს პიერ რაბი, კაცი რომელიც, ორმოცდაათ წელზე მეტია მეუღლესთან ერთად ცხოვრობს სოფლად, ფერმაში... ისინი თესავენ და იღებენ მხოლოდ იმას რაც სრულებით აუცილებელია მათთვის წყვილის ლხინია მათი ფერმიდან გადაშლილი ხედი. ჰორიზონტზე

აღმართულია ჩვიდმეტი სამრეკლო, ესაა მათი კინო ღია ცის ქვეშ, უფასო და უძვირფასესი სანახაობა. სანდლებში ფეხგაყრილი პიერ რაბი სხვებს უთმობს გააფთრებულ-გამხეცებულ დღევანდელობას, მუდამ მეტის მოხვეჭისკენ სწრაფვას. „ადამიანი ადამიანობას პირველ რიგში კარგავს მაშინ როდესაც მას აღარა აქვს მშვენიერებით ტკბობის დრო“ თავისი ნაშრომებით, ინტერვიუებით და მოხსენებებით ის დაუღალავად გმობს იმას რაც მიაჩნია უფსკრულისკენ სირბილად, და ბრძოლას უცხადებს გაუმაძღრობას, გონივრულად საჭიროზე მეტის შოვნის და მოხვეჭის სურეილს. პიერ რაბის თქმით სწორედ გაუმაძღრობაა დღეს კაცობრიობის მკვლელი ავადმყოფობა რომელსაც აჩენს და აძლიერებს უკვე ზემოხმარების საზოგადოებად ქცეული მოხმარების საზოგადოება.ზემოხმარების საზოგადოება განუწყვეტლად ქმნის ახალ და უსარგებლო საჭიროებებს. „ჩვენ დაბადებული ვართ იმისთვის რომ დავტკბეთ სიცოცხლით და არა საერთო ეროვნული პროდუქტისთვის“, ამბობს ის უბრალოდ. „პატივი უნდა სცეთ დედამიწას თუ კი გინდათ რომ მცენარეებმა იხარონ, მათი მჭამელი ცხოველები გაიზარდონ და ადამიანებმა იცხოვრონ,“ – დაწერა

მან თავის ბოლო ნაშრომში. „ჩვენი ბედი განუყოფელია ჩვენი გარემოს ბედისგან. გვეყოფა იმის დაჯერება რომ ვართ გარემოზე უფრო მაღლა ან გარეთ“. ამ გლეხმა-ფილოსოფოსმა აგროეკოლოგიის სასწავლო ცენტრები შექმნა აფრიკაში. ის გახდა პატივცემული მოღვაწე იმათთვის ვისაც აინტერესებს კაცობრიობის მდგრადი და გრძელლვადიანი განვითარება საფრანგეთში, მალიში, ტუნისში. მას გაერო იწვევს ხოლმე ექსპერტიზის ჩასატარებლად... პიერ რაბი ოთხი წლის იყო როდესაც დაკარგა დედა. ის თავის მჭედელ მამასთან ერთად ცხოვრობდა სამხრეთ ალჟირში. ის აღზარდა ორანელ ფრანგთა ოჯახმა. გაქრისტიანებული, გაკათოლიკებული 20 წლის პიერ რაბი 1960 წელს ჩავიდა პარიზში. მუშაობდა ქარხანაში. ეს იყო მძიმე, ალჟირის ომით დასისხლიანებული ხანა. იგი, პარიზში შეხვდა თავის მომავალ მეუღლეს. მათ ეყოლათ ხუთი შვილი. ახალგაზრდა ხელმოკლე წყვილი წავიდა არდეშის მხარეში, სადაც იყო მწირი, მიწა, მაგრამ ის ფინანსურად ხელმისაწვდომი იყო მათთვის. რამოდენიმე წლის მანძილზე მიწათმოქმედი მუშა პიერ რაბი გახდა გლეხი. მან დაინახა თუ რა ზიანი შეიძლება მოიტანოს პროდუქტივისტულმა სოფლის მეურნეობამ და ხელი მოკიდა ბიოდინამიურ მიწათმოქმედებას. „მე მიწაზე ვზრუნავ როგორც ჩემს ქალიშვილზე და ის მკვებავს როგორც დედა“. გლეხი-ფილოსოფოსი პიერ რაბის ბოლო ნაშრომია „ზომიერების ძალა“ რომლის წინასიტყვაობაშიც წერია: „ზომიერება ძლიერია იმით რომ ის გვიბრუნებს ჩვენს ლეგიტიმიურობას, რაც უფრო ზომიერები ვართ მით უფრო შეგვიძლია ჩვენი მთავარი საჭიროებების დაკმაყოფილება და ადამიანობის შენარჩუნება. ზომიერება ახდენს ჩვენი ძალისხმევის კონცენტრაციას მთავარზე, გვანთავისუფლებს გართულებული სისტემისგან და ანთავისუფლებს დროს არსებობისთვის და სიცოცხლით აღფრთოვანებისთვის. ზომიერი ადამიანი არაა გაუთავებლად და უაზროდ მწარმოებელი სისტემის ყველაფრის მსანსვლელი მონა და პასუხობს თავის ნამდვილ მოწოდებას. გლეხი-ფილოსოფოსი პიერ რაბი მოგვიწოდებს გონიერების აჯანყებისკენ, „ჩვენ ვისწავლეთ ანომალიების ნორმალიზება და იმორალობის მორალიზება. მე დავინახე რომ დღევანდელი წარმოება და ეკონომიკა არის ნგრევა, დაბინძურება, მკვლელი იარაღის კეთება, ჩვენი დამმონებელი უსარგებლო საჭირობების შექმნა და ამიტომ გავხდი აგროეკოლოგი...“ ადამიანს ახასიათებს საშინელების ესთეტიზაცია გალამაზება. ყველაფერი დაკარგულია? არა, ჩემის აზრით სიყვარული არის აბსოლუტური ძალა რომელსაც შეუძლია კაცობრიობის ხვედრის შეცვლა... მაშინ როდესაც ადამიანი სულ უფრო და უფრო სწყდება სამყაროს და კარგავს სამყაროს სილამაზის და ჯადოსნური ძალის დანახვის უნარს გონიერების უმაღლესი გამოვლინებაა სიცოცხლის ყველა გამოვლინებათა სიყვარული და პატივისცემა!“ციხიკოსები ჩვეულებისამებრ გაიცინებენ, ნობელის პრემიაც არა მგონია მისცენ, მაგრამ ბევრი აფასებს, პატივს სცემს პიერ რაბის. ბუნების, სამყაროს პატივისცემა არის უფლის ქმნილებისთვის სოლიდარობის გამოცხადება. მთელი ქმნილების შუამავალი და მაცხოვარი იესო ქრისტე ადასტურებს რომ სამყარო არის ღმერთის ძალიან კარგი ქმნილება. სამყარო ბუნებით ექვემდებარება დროის კანონს და მას მუდამ ემუქრება დანთქმა არარაობაში.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

ბიენთა საძმო ბერას წინააღმდეგ

უკვე წლებია, ნაცებს, მათ განაყრებს, ნაშიერებს, მიმდევრებსა და ფანებს ჭვალი, ანუ კოლიკა სტანჯავთ. ამ ჭვალს, ანუ კოლიკას აქვს კიდევ ერთი საერთო სახელი — „ბერა“.

დიახ, სწორად მიხვდით, ნაცებსა და მათთან გათანაბრებულ პირებს სტანჯავთ ბერა ივანიშვილი, რომელიც თავის მხრივ გახლავთ ბიძინა ივანიშვილის ვაჟი.

საკმარისია, საქართველოში მოხდეს რაიმე სახის დანაშაული, ჩხუბი, დავიდარაბა თუ წაკინკლავება, გამოეთრევა ხოლმე ჩაჯვი გვარამია თავის საკანალიზაციო არხზე და დაბეჯითებით აცხადებს, რომ ესა და ეს დამნაშავე, მავანი და მავანი არის ბერას ძმაკაცი, რომელსაც თავის მხრივ ჰყავს საძმო. ჩაჯვისაც ჰყავს საძმო — მაგალითად, ნოდარა მელაძე, მიშა მშვილდაძე, ელო კილაძე და მისთანანი, რომლებიც იგივე საქმიანობით არიან დაკავებულნი.

ჩაჯვის საძმოში (სადოშიც) გაერთიანებულნი არიან გაუნათლებელი, ავანტიურისტი და ჭორიკანა არსებები. მათ შეუძლიათ, შეუფერხებლად იცეკვონ საფლავებზე, არ მოასვენონ ცხედრები, დასახონ ათასნაირი ვითომ ვერსიები, ჩირქი მოსცხონ პატიოსან ადამიანებს, დააბრალონ წარმოუდგენელი დანაშაული. მათ წარმოდგენა არ აქვთ, რა არის სინდისი ან ნამუსი, რას ნიშნავს ოჯახი, ოჯახური სიწმინდე, რა არის რწმენა, სიკეთე და ასე შემდეგ. ისინი მუდმივად ფიქრობენ ცუდზე, მოხდება მკვლელობა? ზეიმობენ, როკავენ, პირველივე წამებიდანვე ამტკიცებენ, რომ მკვლელი ბერა ივანიშვილის მეგობარია.

სხვათა შორის, სანამ ამათ, ამ საკუთარ ქაქში მცხოვრებ არსებებს ბერა დაადგებოდათ ჭვლად, ბიძინა ივანიშვილს უტევდნენ, ხან რა მოუგონეს, ხან — რა, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ გამოიყვანეს კაცი მწყობრიდან. ალბათ გახსოვთ, 2017 წლის ივნისში რომ ააგორეს ჭორი, არიქა, ბიძინას ინსულტი დაემართა, გერმანიაში გადააფრინეს, მძიმე დღეები უდგასო. მაშინ ჩაჯვი გვარამია აცხადებდა, სოლოლაკიდან ვერტმფრენები აფრინდა, ჩვენმა წყარომ საკუთარი თვალით ნახაო. ეს წყარო კი ტყლარწი კილაძე იყო, რომელსაც კაი გვარიანად აქვს რამსები არეული. მაშინაც ზეიმობდნენ, საკუთარ თავებს აჯერებდნენ და საზოგადოების რაღაც ნაწილიც დააჯერეს, რომ ბიძინა ივანიშვილის სიცოცხლე ასერიგად დამთავრდა. ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში, გაუსხათ ტრაწმა და დაუდგათ სუნი თავიანთივე ოჯახებში!

მიხვდნენ რა, ბიძინა ივანიშვილისთვის ოჯახი წმინდათა წმინდააო, ეგრევე აფუტფუტდნენ და შვილებზე დაიწყეს სერიული დარტყმები — ფეხბურთელი გიორგი შაქარაშვილი მოკლეს თავისივე თანატოლებმა და ერთი ამბავი ატეხეს, არიქა, ამ საქმეში ვინმე „კაწროა“ გარეული, ეგ თურმე ადრე ბერას ძმაკაცი ყოფილაო. ჩაჯვი გვარამია პირდაპირ ეთერში ამტკიცებდა, ეგ არიო, ვიცანიო, მაგ „სასტავს“ ბერა მფარველობსო. საქმე საქმეზე რომ მიდგა, ის ტიპი, რომელიც ჩაჯვიმ „ამოიცნო“, სულაც არ გამოდგა ვინმე „კაწრო“, თურმე ვიღაც ხაშურელი ხელოსანი ყოფილა. ეს ამბავი საცოდავი გოგოს (თამარ ბაჩალიაშვილის) თვითმკვლელობისა თუ მკვლელობის შემდეგ მინელდა და რაკი ჩაჯვთა საძმომ ბიძინა ივანიშვილის ოჯახს ვერ მიაბა სანდრო გირგვლიანის „პონტში“, მიივიწყეს კიდეც. ახლა ისაო, თურმე თამარ ბაჩალიაშვილს ბერას კომპიუტერში შეუღწევია, რაღაც მნიშვნელოვანი ფაილები გადმოუწერია და ამიტომაც მოკლესო. ამის მოფიქრება არ გინდა? მერე მოიგონეს, ამ საქმეში სამი მაღალჩინოსანი ფიგურირებს, იმათ კომპიუტერებშიც შეუღწევიაო, მაგათ აუცილებლად ბერა მფარველობსო.

ბიძინა ივანიშვილი ამაზე ხმას არ იღებს. ან კი რა უნდა თქვას, გამოვიდეს და თავი იმართლოს, ხალხო, ჩემი ოჯახი არაფერ შუაშია, შაქარაშვილი და ბაჩალიაშვილი ჩვენ არ მოგვიკლავსო?!

ბერაც დუმს. ან კი რატომ არ უნდა დუმდეს, გამოვიდეს და თავი იმართლოს, მე არაფერ შუაში გახლავართო?!

თუმცა, ვერ ვიტყვი, ივანიშვილების ოჯახი ამ სიბინძურის გამო არ ნერვიულობს, არ ღელავს-მეთქი. ალბათ ნერვიულობენ, განიცდიან, ისინი ჩვეულებრივი ადამიანები არიან თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეებით, მაგრამ ითმენენ.

ადრეც დავწერე და ვიმეორებ: შვილიშვილი რომ გამაბრაზებს, აღარ მაქვს სურვილი, ნაყინი ვუყიდო ხოლმე. ამას კიდე, ამ ბიძინა ივანიშვილს ლანძღავენ, ათასნაირ სიბინძურეს უგონებენ და ვითომც არაფერი, აკეთებს და აკეთებს კეთილ საქმეებს — იქით დენდროლოგიური პარკიო, აქეთ აბასთუმანიო... აღარაფერს ვამბობ მანამდე გაკეთებულებზე. ხშირად მიფიქრია, მე რომ მის ადგილზე ვიყო, როგორ მოვიქცეოდი? ამაზე საბოლოო პასუხი არ მაქვს, შეიძლება მტრების ჯინაზე მეც ასევე მოვქცეულიყავი, მაგრამ თუ ამდენი უმადური მეყოლებოდა გარშემო... ალბათ ავიდოდი თვითმფრინავს ტრაპზე და იქიდან დავუძახებდი ამ უმადურებს: გასცით, თქვენი დედებიც მოვსტ... ან-მეთქი!!!

ესენი არა, ესენი არ იქცევიან ასე... უყურებენ, როგორ იხრჩობიან საკუთარ ჭაობში ჩაჯვთა მოდგმისანი!

მიუხადავად ყველაფრისა, მიუხედავად ივანიშვილების დიდსულოვნებისა, ყველაფერს მაინც საზღვარი აქვს. დიახ, საზღვარი აქვს და ამ საზღვართან ვდგავართ ჩვენ, მადლიერი ადამიანები.

მოდით, ბარემ ისიც ვთქვათ, რატომ უნდა ვიყოთ ამ ოჯახის მადლიერნი?

იმიტომ, რომ ჩვენ პრეზიდენტად გვეჯდა შიზოიდი, რომელიც იწყებდა ომს და შემდეგ თვითმფრინავის ხმაზე მიწას ხნავდა ცხვირით!

იმიტომ, რომ ჩვენ ხელისუფლებაში გვესხდნენ მანიაკები, რომლებიც ადამიანებს ტრაკში ცოცხებს უკეთებდნენ და „კასტილებით“ აუპატიურებდნენ!

იმიტომ, რომ მთავრობაში გვყავდნენ ავადმყოფები, რომლებიც ყველაფერს კადრულობდნენ — კლავდნენ, ნარკოტიკებს უდებდნენ, ქონებას ართმევდნენ, ავანტიურაზე მიდიოდნენ და ასე შემდეგ!

იმიტომ, რომ ჩვენ გვყავდნენ ძალოვნები, რომლებიც უდანაშაულო ადამიანებს ქუჩაში ცხრილავდნენ!

იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილმა ჩვენ 2012-ში შავი ჭირი მოგვაცილა!

ძალიან კი უნდა ჩაჯვთა საძმოს „გირგვლიანი 2“-ის შექმნა და შემდეგ იმის მტკიცება, რომ ეს ხელისუფლება წინაზე უარესია, ანუ ასეთი რაღაცები ყველა დროში ხდება. ესენი გავეშებით ცდილობენ, როგორმე შეკერონ დანაშაული, რომელიც გირგვლიანის მკვლელობას გადაფარავს, მაგრამ არ გამოუდით და არც გამოუვათ, რადგან არც ბიძინა ივანიშვილის ცოლი ლოთობს შარდეწზე ყოველ საღამოს და არც მის შვილებს აქვთ ვენები დაჩხვლეტილი ერთჯერადი შპრიცები თ.

ჩაჯვთა საძმო გამარგინალდა. ისინი უკვე იმდენ სიბინძურეს თესავენ, მოსახლეობა ვეღარ (აღარ) იჯერებს. თუმცა ჩვენში ჯერ კიდევ არსებობს მოქალაქეთა მცირე ნაწილი, რომელსაც თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ „მოსაყლეობა“. ეს მცირე ნაწილი ვერ აზროვნებს, განსჯის უნარი დაკარგული აქვს და რასაც ჩაჯვები ჩასძახებენ, ეგრევე იჯერებს.

სხვათა შორის, ბოროტების ჩადენასაც, თუ გინდა, რომ დამაჯერებელი იყოს, ნიჭი სჭირდება. ესენი უნიჭოები არიან, მხოლოდ საკუთარ ქაქში მოქმედებენ და არასოდეს ფიქრობენ, ამა თუ იმ ჭორს რა შედეგები მოჰყვება.

აგერ, სანამ ამ წერილს დავამთავრებდი, ახალი ამბავიც გავიგე, თურმე ჩაჯვთა საძმო აპირებს, კიდევ ერთი „სკანდალი“ ასწიოს ამ დღეებში. ალბათ გაიგებდით, ამას წინებზე ხელვაჩაურში ერთ ოჯახს 9 შვილი რომ ჩამოართვეს სოცაგენტებმა. ამაზე არაერთი ჭორი გავრცელდა, ზოგი სოროსს აბრალებდა, ზოგმა — ბავშვები უნდა გაყიდონო, ზოგმა — ორგანოები უნდა ამოაჭრანო. სინამდვილეში მიზეზი ის იყო, რომ მშობლები არიან უვარგისები. თუმცა ჩაჯვთა საძმომ ეს საქმე გამოიძია და დაადგინა, რომ ოჯახს ბავშვები ბერას დავალებით წაართვეს. რაში სჭირდება ბერას ბავშვები? ეიეჰ... ვერ მიხვდით? საარჩევნოდ უნდა შეჭამოს.

მოკლედ, ძვირფასო ამხანაგებო, ამათი საქმე ისეა, კატა რომ ვერ შესწვდა ძეხვსაო... ვერ სწვდებიან ივანიშვილების ოჯახს, ვერ ათანაბრებენ ბიძინას ვანო მერაბიშვილთან და საკაშვილთან, არ გამოსდით და ქე არიან გონებრივად გაპრეწილები.

არჩევნებამდე კიდევ ბევრ სიბინძურეს მოიგონებენ, კიდევ ბევრ ჭორს გაავრცელებენ, მაგრამ როგორც გაზეთის წინა ნომერში დავწერე (ნოდარ დუმბაძე რომ გავიხსენე), ბიძინა ივანიშვილი საკუთარ ფეხებს თვითონ თუ მოიჭამს, თორემ სხვამ როგორ უნდა მოსჭამოს?!

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

მონარქია და თანამედროვეობა

თანამედროვე სამყაროში 230-ზე მეტი სახელმწიფო და თვითმმართველი ტერიტორია არსებობს, რომლებსაც საერთაშორისო სტატუსი გააჩნიათ. მათგან მხოლოდ სამი ათეული მიეკუთვნება მონარქიას. ფორმალურად მათ რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ ის ქვეყნები, რომლებიც ბრიტანეთის თანამეგობრობაში შედის, სადაც ქვეყნის მმართველად, ხშირად ნომინალურად, ინგლისის დედოფალი ითვლება (კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია და ა. შ.). თუმცა მსოფლიო რუკაზე ის ქვეყნები, რომლებსაც მმართველობის რესპუბლიკური ფორმა გააჩნიათ, აშკარად უფრო მეტია. როგორც წესი, მმართველობის ფორმა, რომელიც ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს, დაფუძნებულია მისი ისტორიული და კულტურული განვითარების ტრადიციებზე. დღეისათვის რესპუბლიკური მმართველობა და დემოკრატიული სისტემა უფრო პოპულარული და მოთხოვნადი ხდება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მმართველობის მონარქიულმა სისტემამ დრო მოჭამა და ისტორიულ ანაქრონიზმად იქცა. დღეს მონარქიულმა სისტემამ სერიოზული სახეცვლილება განიცადა (განსაკუთრებით ევროპაში) და ახლა პრინციპულად ახალ მოდელს წარმოადგენს, რომელიც თანამედროვე პირობებს მიესადაგა, თუმცა ამასთან, მონარქიული მმართველობის ტიპიური ფორმები შენარჩუნებულია. ამასთან, თანამედროვე მონარქიებმა ახალი მოხაზულობაც შეიძინეს, რომლებიც საფუძვლიანად განსხვავდება მათი ისტორიული ანალებისგან.

თანამედროვე მონარქიების ერთ-ერთი თავისებურება მათი „არატიპიურობაა“. კლასიკურ კონსტიტუციურ მონარქიებს შეიძლება თამამად ვუწოდოთ „რესპუბლიკური მონარქიები“, რადგან იქ მონარქის ძალაუფლება ყველა სფეროში მთლიანად შეზღუდულია. ამასთან, იურიდიულად მონარქს აქვს ფართო უფლებები, მაგრამ მათით სარგებლობა არ შეუძლია. ასეთი სიტუაცია დამახასიათებელია ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდები, შვედეთი, იაპონია. თუმცა კლასიკურ საკონსტიტუციო მონარქიაში მონარქს არა იმდენად პოლიტიკური ძალაუფლება გააჩნია, რამდენადაც ავტორიტეტი და გავლენა.

მსოფლიოში დღეს ერთმანეთზეა გადაჯაჭვული სახელმწიფოებრიობის ტრადიციული და თანამედროვე ფორმები. სწორედ ამიტომ, ზოგიერთ ქვეყანაში, მათ შორის ისეთ ქვეყნებში, რომლებსაც მსოფლიო არენაზე მოწინავე პოზიციები უკავიათ, მონარქიული მმართველობის ფორმები ისტორიულ გადმონაშთად სულაც არ მიიჩნევა.

მეორე თავისებურება, პირველ ყოვლისა, ევროპული მონარქიებისა, არის ის, რომ მონარქიის ინსტიტუტის შენარჩუნება ნაკარნახევია უფრო საუკუნოვანი ტრადიციებისთვის ხარკის გადახდით, ვიდრე რაიმე რეალური საჭიროებით. მონარქიული სისტემის მიმართ ამ ქვეყნების ერთგულება გვიჩვენებს, რამდენად ერთგულია მოსახლეობა ლეგიტიმური ხელისუფლების ტრადიციული ღირებულებების მიმართ.

ზ. ფიშერი წიგნში „ინგლისის სახელმწიფო მმართველობა“, წერდა: „ინგლისური ნაცია არის მკაფიოდ მონარქიული, მეფე კი, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების სიმბოლო, ინგლისში უფრო დიდი ენთუზიაზმით აღიქმება, ვიდრე მატერიკზე“. ინგლისელი ისტორიკოსი ნ. საუპგეიტი კი ამასთან დაკავშირებით წერდა: „ნებისმიერ მცდელობას, დიდ ბრიტანეთში მონარქიის გაუქმებასთან დაკავშირებით, მოჰყვება იმპერიისა და თანამეგობრობის დაშლა“.

უნდა აღინიშნოს, რომ დიდ ბრიტანეთში დროდადრო ჩნდება იდეები მონარქიის გაუქმების შესახებ იმ მიზეზით, რომ თითქოს მისი შენახვა მოსახლეობას ძვირი უჯდება. მაგრამ ინგლისელები მიჯაჭვულნი არიან მონარქიაზე, რომელიც ქვეყნის სიმბოლოდ ქცეულა და თანამედროვე მონარქიათა შორის ყველაზე ცნობილი და ცნობადია.

ყველა მონარქიის კიდევ ერთი თავისებურებაა მონარქის აღქმა არა მარტო ქვეყნის მეთაურად, არამედ, როგორც ქვეყნის სიმბოლოდ დროშასთან, გერბთან და ჰიმნთან ერთად.

ეს გარემოება პირდაპირ მიუთითებს მონარქიული მართლაღქმის ელემენტების არსებობაზე მთელი ქვეყნის მოსახლეობაში თუ არა, მის დიდ ნაწილში მაინც.

შეზღუდული მონარქიების რაოდენობა დღევანდელ სამყაროში უფრო ბევრია, ვიდრე აბსოლუტური, რომელთა რაოდენობა ექვსს არ აღემატება. დღეისათვის აბსოლუტური მონარქიები შენარჩუნებულია მხოლოდ აზიაში, სადაც ისინი სხვადასხვა ფორმით არსებობს.

კლასიკური ფორმის აბსოლუტური მონარქია იმ სახით, როგორადაც ის არსებობდა ევროპაში ჯერ კიდევ XVIII–XIX სს-ში, შენარჩუნებულია ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ბრუნეი და ომანი. ამ ქვეყნებში მონარქი, როგორც სახელმწიფოს მეთაური, მთლიანად ფლობს სახელმწიფო მმართველობას, ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოები კი ან არ არსებობს, ან ჩანაცვლებულია მონარქთან არსებული სხვადასხვა მრჩეველთა ორგანოებით, რომლებსაც არ გააჩნიათ არავითარი პოლიტიკური უფლებები და მთლიანად დამოკიდებული არიან მასზე.

თუმცა, ზოგიერთმა აზიურმა მონარქიამ ევროპული პოლიტიკური სისტემისგან ისესხეს ცალკეული დემოკრატიული ინსტიტუტები და ისინი საკუთარ პოლიტიკურ სისტემას მიუსადაგეს. უფრო ხშირად ეს ის ქვეყნებია, რომლებიც წარსულში კოლონიები ან პროტექტორატები იყო. ასე მოხდა, მაგალითად, იორდანიაში, რომელიც დღეს დუალისტური კონსტიტუციური მონარქიის მაგალითს წარმოადგენს, სადაც ძალაუფლებას მეფე და პარლამენტი ინაწილებენ.

აზიურ მონარქიათა შორის შეიძლება შევხვდეთ მონარქიის ისეთ იშვიათ ფორმას, როგორიცაა არჩევითი მონარქია (მალაიზია, არაბეთის გაერთიანებული საემიროები). მონარქიის ასეთი ფორმა ევროპაში მხოლოდ პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის დიდ სათავადოში (რეჩ პოსპოლიტა) არსებობდა მის გაყოფამდე, XVIII ს-მდე. არსებითად, არჩევითი მონარქია მოიცავს საკუთარ თავში მონარქიისა და რესპუბლიკის ელემენტებს. ამასთან, მასში მონარქიის ელემენტები სჭარბობს. ეს ნამდვილად უნიკალური სახელმწიფოს ფორმაა, რომლის იდენტიფიცირება მონარქიასთან და რესპუბლიკასთან ძალიან ძნელია.

სპარსეთის ყურის მონარქიებში მოქმედებს ტახტის მემკვიდრეობით გადაცემის განსხვავებული პრინციპი, რომელსაც კლანური ეწოდება. მისი საფუძველია მონარქის არჩევა ოჯახის მიერ (ყატარი, საუდის არაბეთი).

საერთოდ, ტახტის გადაცემის ტრადიციებმა თანამედროვე მონარქიებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, ეს კი დღეს ძალაუფლების მონარქიული სისტემის კიდევ ერთი თავისებურებაა. ადრე მონარქი ხელმძღვანელობდა ქვეყანას სიცოცხლის ბოლომდე, მემკვიდრისთვის ძალაუფლების გადაცემა მხოლოდ მონარქის გარდაცვალების შემდეგ იყო შესაძლებელი. ბოლო დროს უფრო ხშირად არის სიტუაციები, როცა მოქმედი მონარქები, უკვე ასაკში მყოფნი, უარს ამბობენ ტახტზე თავიანთი მემკვიდრეების სასარგებლოდ. სწორედ ასე მოიქცა ნიდერლანდების დედოფალი ბეატრიქსი, ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი და იაპონიის იმპერატორი აკიხიტო. დიდ ბრიტანეთში არ ცხრება საუბრები იმის თაობაზე, თრომ დედოფალი ელიზაბეთი აპირებს, ტახტი დაუთმოს თავის ვაჟსა და მემკვიდრეს, პრინც ჩარლზს. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ მონარქიული ინსტიტუტები დღეს მზად არ არიან, აბსოლუტურად ბრმად მისდიონ მონარქიზმის ყველა საბაზო პრინციპს.

ფრანგი ჟურნალისტის სტეფან ბერნის აზრით, რომელიც მონარქიებს შეისწავლის, ისინი ყოველთვის თანამედროვეობის ბეწვის ხიდზე გადიან. იგი კიდევ ერთ თავისებურებაზე მიუთითებს: „ბევრი მონარქი საერთაშორისო ელჩების როლს ასრულებს. ისინი საკუთარ ქვეყანას წარადგენენ საზღვარგარეთ. დღეს ისინი საზღვარგარეთ მიემგზავრენიან და ძალზე პრესტიჟულ ნაციონალურ ბრენდს წარმოადგენენ. ეს კი ქვეყნის მიმართ ნდობის სტიმულირებას ახდენს და ბიძგს აძლევს ვაჭრობის ზრდას“. ამგვარად, ს. ბერნის აზრით, მონარქების როლის შეცვლასთან ერთად შეიცვლება მათი სტატუსი საერთაშორისო არენაზე: ისინი თავისებურ ნაციონალურ ბრენდად იქცევიან, რომელთა მეშვეობითაც ქვეყანა ფულის შოვნას დაიწყებს. და მართლაც, მონარქებისა და მმართველი დინასტიის წევრების სხვა ქვეყნებში მოგზაურობა ხელს უწყობს საერთაშორისო კავშირების გამყარებას, განსაკუთრებით ბიზნესისა და ვაჭრობის სფეროებში.

მმართველობის მონარქიული ფორმის ღირსებებს შორის არის ისეთები, რომელთაც ყველაზე მტკიცე რესპუბლიკელებიც კი აღიარებენ. რა თქმა უნდა, მონარქიას არ შეუძლია ერთი ხელის მოსმით გადაწყვიტოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემები, მაგრამ მას შეუძლია ყველა დემოკრატიული პროცედურების დაცვით უზრუნველყოს გარკვეული სტაბილურობა და წონასწორობა საზოგადოების პოლიტიკურ და სოციალურ სტრუქტურებში. რიგ ქვეყნებში მონარქია ის გამაერთიანებელი ფაქტორია, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნულ ერთიანობას და საზოგადოებისთვის მშვიდობა და თანხმობა მოაქვს.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

გაზეთის გავრცელების სამსახური: 599 58-72-50. ბესო ცარციძე (მენეჯერი).

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99

ISSN 2233-3983
9 772233 398001